MES 9 23 0000551107

16/05/2023

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 01.05.2023
სხდომის დაწყების დრო: 12:30
სხდომის დასრულების დრო: 17:29
საბჭოს თავმჯდომარე: გოდერძი ბუჩაშვილი
საბჭოს მდივანი: რატი რატიანი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 27[2] მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.
საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:
1. გოდერძი ბუჩაშვილი - შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს" ვიცე-რექტორი ადმინისტრაციული მიმართულებით, პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი - სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. რატი რატიანი - შპს „გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის" საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;
4. ნინო ბაქრაძე - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, კამერული ანსამბლის და კვარტეტის მიმართულების ასოცირებული პროფესორი;
5. ირინე ებრალიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მუსიკის ცენტრის ჯაზის ხელოვნების მიმართულების ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი;
6. ხათუნა თოდაძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი აკადემიური მიმართულებით, ნარკოლოგიის დეპარტამენტის უფროსი;
7. მარინე მაისურაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;
8. ერმილე მესხია - სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
9. ლევან ნიკოლეიშვილი - სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის უსაფრთხოების კვლევების მიმართულების პროფესორი;
10. თამარ სირაძე - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, პროფესორი;

11. ქეთევან ქუთათელაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
12. ლაშა ჩხარტიშვილი - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი;
13. თინათინ ჭაბუკიანი - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო ტელევიზიის პროდიუსერი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი;
14. ნინო ჭალაგანიძე - შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, კანცლერის მრჩეველი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების ასოცირებული პროფესორი;
15. გურანდა ჭელიძე - შპს კავკასიის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის აფილირებული პროფესორი;

სხდომაზე დამსწრე პირები:

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	გვანცა ძიძიგური	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
2	ანი ლელაძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1.	ნაილა ჩელებაძე	ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი	უნივერსიტეტის პრორექტორი	I
2.	ნონა შუშანიძე		ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის დეკანი	I
3.	ელზა ფუტკარაძე		ადმინისტრაციის ხელმძღვანელი	I
4.	ეკატერინე გელენიძე		ადმინისტრაციის წარმომადგენელი	I
5.	თემურ ტუნაძე		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი	I
6.	ია შალამბერიძე		იურიდიული სამსახურის ხელმძღვანელი და წევრი, ასისტენტ პროფესორი	I

7.	მზია შავაძე		პროფესორი	I
8.	ოლეგ ჯიბაშვილი		საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელები, ასოცირებული პროფესორი	I
9.	ტარიელ ებრალიძე		პროფესორი	I
10.	ნარგიზ სურმანიძე		ასოცირებული პროფესორი	I
11.	არჩილ ჯანგირაშვილი	შპს საქართველოს უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	II
12.	თინათინ ღუდუშაური		ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის დირექტორი	II
13.	დავით ბერიკაშვილი		არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი	II
14.	ომარ არდაშელია	სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი	III
15.	ირმა დიხამინჯია		ბიზნესისა და სოცილურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი	III
16.	კახი კოპალიანი		ბიზნესისა და სოცილურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	III
17.	რომეო გალდავა		უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	III
18.	სალომე დუნდუა	სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი	IV
19.	ფიქრია ასანიშვილი		საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების ხელმძღვანელი	IV
20.	დავით მაცაბერიძე		საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	IV
21.	რევაზ ჯორბენაძე		ფაკულტეტის ხარისხის უფროსი	IV
22.	მარიამ მსხალაია		ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის წარმომადგენელი	IV
23.	მირანდა მიქაძე		ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის წარმომადგენელი	IV

24.	შოთა ფოთოლაშვილი		უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	IV
25.	ნინო ქიმერიძე		უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის აკრედიტაციის, კვლევებისა და შეფასების განყოფილების უფროსი	IV
26.	ნატალია ბარათელი		უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მრჩეველი	IV
27.	ვახტანგ ლეჟავა	შპს თავისუფალი უნივერსიტეტი	რექტორი	V
28.	ნათია სამუშია		პრორექტორი	V
29.	მარინა ქარჩავა		პრორექტორი	V
30.	ანკა თაბუკაშვილი		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერი	V
31.	მარიამ მოქია		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი	V
32.	თამუნა გეგეშიძე		აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების მენეჯერი	V
33.	შაკო თავაძე		სტუდენტების დეკანი	V
34.	თეა ოდიშვილი		ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი	V
35.	მარიამ ჯაფარიძე		საერთშორისო ურთიერთობების კოორდინატორი	V
36.	თინათინ ქაროსანიძე		საერთაშორისო ურთიერთობების სკოლის დეკანი	V
37.	მარიამ მაჭარაშვილი		საერთაშორისო ურთიერთობების სკოლის კოორდინატორი	V
38.	კახა შენგელია	შპს კავკასიის უნივერსიტეტი	უნივერსიტეტის პრეზიდენტი	VI
39.	ნუგზარ სხირტლაძე		ვიცე-პრეზიდენტი სასწავლო დარგში	VI
40.	ბორის ლეჟავა		ვიცე-პრეზიდენტი კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დარგში	VI
41.	დიანა მჭედლიშვილი			VI

			ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი	
42.	შოთა ნიჟარაძე		კავკასიის ტექნოლოგიების სკოლის დეკანი	VI
43.	მაქსიმ იავიჩი		პროგრამის ხელმძღვანელი	VI

აკრედიტაციის ექსპერტები:

N	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	ბონდო კუპატაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	მერაბ ჭუმბურიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	ლევან ჭაბაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
4	ვაჟა მამიაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
5	თამარ გვიანიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
6	ლიანა ზაგაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
7	თეიმურაზ პაპასქირი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
8	მერაბ ჭუმბურიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
9	პაატა ბუხრაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
10	ქეთევან დიღმელაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
11	ირმა ქურდაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
12	საბა ყაფლანიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
13	ირაკლი მანველიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
14	ივანნა მაჩიტიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
15	ნინო ფავლენიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	V
16	გვანცა აბდალაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	V
17	ჯეფრი დიკი	(ჩაერთო „ზუმით“)	VI
18	მიხეილ რუხაია	(ჩაერთო „ზუმით“)	VI
19	გიორგი გიორგობიანი	(ჩაერთო „ზუმით“)	VI
20	სოფიო უგრეხელიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	VI
21	გიორგი ფოფხაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	VI

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 12:30 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის "ისტორიის" საბაკალავრო, "საქართველოს ისტორიის" და "არქეოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს საქართველოს უნივერსიტეტის "არქეოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს თავისუფალი უნივერსიტეტის "საერთაშორისო ურთიერთობების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიური მონიტორინგის საკითხის განხილვა;
4. სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "საერთაშორისო ურთიერთობების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის შედეგების განხილვა;
5. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ევრაზიის და კავკასიის კვლევების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის შედეგების განხილვა;
6. შპს კავკასიის უნივერსიტეტის "კომპიუტერული მეცნიერების" ინგლისურენოვანი ერთობლივი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

· დიახ

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის "ისტორიის" საბაკალავრო, "საქართველოს ისტორიის" და "არქეოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს საქართველოს უნივერსიტეტის "არქეოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "საერთაშორისო ურთიერთობების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის შედეგების განხილვა;
4. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ევრაზიის და კავკასიის კვლევების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის შედეგების განხილვა;
5. შპს თავისუფალი უნივერსიტეტის "საერთაშორისო ურთიერთობების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიური მონიტორინგის საკითხის განხილვა;
6. შპს კავკასიის უნივერსიტეტის "კომპიუტერული მეცნიერების" ინგლისურენოვანი ერთობლივი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

1 საკითხი. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის "ისტორიის" საბაკალავრო, "საქართველოს ისტორიის" და "არქეოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ისტორია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	- 03.12.2012, #794
5		-

	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე დონე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ისტორიის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0222 ისტორია და არქეოლოგია
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	შუახევის მუნიციპალიტეტი, სოფ. ტაკიძეები, დაბა ხიჭაური
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საქართველოს ისტორია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	- 03.12.2012, #80
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეშვიდე დონე
9	კვალიფიკაციის დასახელება	საქართველოს ისტორიის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0222 ისტორია და არქეოლოგია
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	შუახევის მუნიციპალიტეტი, სოფ. ტაკიძეები, დაბა ხიჭაური
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	არქეოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	- 13/12/2012 №808
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეშვიდე დონე
9	კვალიფიკაციის დასახელება	არქეოლოგიის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0222 ისტორია და არქეოლოგია
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	შუახევის მუნიციპალიტეტი, სოფ. ტაკიძეები, დაბა ხიჭაური
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტი ბონდო კუპატაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას. აღნიშნა, რომ კლასტერული პროგრამები "ისტორიის" საბაკალავრო, "საქართველოს ისტორიის" და "არქეოლოგიის"

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები ლოგიკურ თანხვედრაშია ერთმანეთთან, როგორც დარგობრივი მახასიათებლით ასევე საგნობრივი კრიტერიუმებით და სწავლების მეთოდოლოგიით. რადგანაც ვიზიტი დაემთხვა დიდთოვლობას შეფასება მოხდა დისტანციურად ზუმის პროგრამის მეშვეობით. დასკვნაში 1-ლი და მე-2 სტანდარტი შეფასებულია, როგორც ნაწილობრივ შესაბამისი, ხოლო მე-3 და მე-4 სტანდარტი, როგორც მეტ წილ შესაბამისობაში მოთხოვნებთან. კლასტერული ასევე პროგრამული რეკომენდაციები გაცემულია საკმაო რაოდენობით. კლასტერულ რეკომენდაციებს შემდეგი სახე აქვს:

რეკომენდებულია პროგრამების განმახორციელებელთა და ხელმძღვანელთა უშუალო მონაწილეობით გასწორდეს სხვადასხვა ავტორების სასწავლო კურსების სილაბუსებს შორის არსებული გადაფარვები და დადგინდეს შეჯერებული ვერსიები.

რეკომენდებულია სწავლების საფეხურთან სასწავლო კურსის შესაბამისობაში მოყვანა. კერძოდ, ისტორიის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსი „ქართული ხელოვნების ისტორია“, საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კურსი „ქართული ხუროთმოძღვრება“ და არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კურსი „ქართული არქიტექტურის ისტორია“ შინაარსობრივად იდენტურია. ასევე, რეკომენდებულია შეიცვალოს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-5 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტი, რომელიც ითვალისწინებს სტუდენტის სტატუსის შეჩერებას სასწავლო პროცესის სისტემატიური გაცდენა ან/და სწავლის მიმდინარეობის პროცესში დაბალი აკადემიური შედეგების მიხედვით (F შეფასებები).

რეკომენდებულია უფრო მეტად იყოს გამოყენებული პრაქტიკული და კვლევითი საქმიანობის უნარების დასაუფლებლად გამოყენებული სწავლების მეთოდები.

რეკომენდებულია დაწესებულებამ უზრუნველყოს სტუდენტები პროგრამის შესაბამისად ეფექტური პრაქტიკული სამუშაოებით, რომელიც ადეკვატური იქნება პრაქტიკული მიმართულებით მათი უნარ-ჩვევების განსავითარებლად. რეკომენდებულია დაწესებულებამ უზრუნველყოს სტუდენტების ინფორმირება საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების, კვლევებისა და კონფერენციების შესახებ.

რეკომენდებულია დაწესებულებამ უზრუნველყოს სტუდენტების ინიციატივებისა და შეთავაზებების ადაპტირება და პრაქტიკაში განხორციელება. რეკომენდებულია დაწესებულებამ მაქსიმალურად შეუწყოს ხელი და შექმნას სასწავლო პროცესის სრულფასოვნად წარმართვის მხარდამჭერი მექანიზმები, რომ აკადემიური თუ მოწვეული პერსონალის დატვირთვის გრაფიკის რეალურად განხორციელდეს.

რეკომენდებულია გაუმჯობესდეს დაწესებულების სასწავლო-მატერიალური ბაზა.

რეკომენდებულია ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის განახლება, მათ შორის რიდერებით და ელექტრონული სასწავლო მასალით. რეკომენდებულია დაწესებულების ვებ-გვერდის გააქტიურება და მასზე სტუდენტებისთვის მნიშვნელოვანი უახლესი ინფორმაციის განთავსება.

რეკომენდებულია უზრუნველყოფილი იყოს პროგრამის განვითარებაში ყველა მონაწილე პირის ინფორმირება პროგრამისთვის მნიშვნელოვანი ასპექტის შესახებ და პროგრამის ერთიანი ხედვის ჩამოყალიბება.

რეკომენდებულია, პროგრამის შეფასების მიზნით, სტანდარტების მოთხოვნებზე დაყრდნობით, განხორციელდეს პროგრამისთვის მნიშვნელოვანი გარემოებების/ასპექტების წინასწარი იდენტიფიცირება და ანალიზი, შესაბამისობის მიღწევისათვის აუცილებელი ქმედებების დაგეგმვა და განხორციელება.

რეკომენდებულია პროგრამის განვითარების/შეფასების ყველა ეტაპზე იყოს განსაზღვრული და გამოყენებული ეტაპის სპეციფიკის შესაბამისი ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომელთა შესრულებაზე პასუხისმგებლობას აიღებს პროგრამის გუნდი, ხოლო პროგრამის გუნდის საკმარის კონსულტირებაზე, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გამოყენებისა და შედეგების კონტროლზე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

რეკომენდებულია, პროგრამის შიდა შეფასება ჩატარდეს კომპლექსურად (მაგ., SWOT ანალიზის მეშვეობით), შეფასებას და კონტროლს დაექვემდებაროს პროგრამის და მისი ყველა

კომპონენტის როგორც შინაარსობრივი (მათ შორის, წინაპირობები, მიზნები, შედეგები, მათი მიღწევარობა და ა.შ.), ისე ტექნიკური (ჩანაწერების სისწორე, სხვა ჩანაწერებთან ურთიერთშესაბამისობა და ა.შ.) მხარეები.
რეკომენდებულია, კონტროლს დაექვემდებაროს მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობა, როგორც მარეგულირებელი დოკუმენტების, ისე პროგრამის კურიკულუმის დონეზე.
რეკომენდებულია, იყოს უზრუნველყოფილი ერთსა და იმავე საკითხთან დაკავშირებით ერთგვაროვანი მიდგომების გამოყენება, კონტროლს დაექვემდებაროს სხვადასხვა დოკუმენტებში არსებული ჩანაწერების ურთიერთშესაბამისობა.
რეკომენდებულია გაუმჯობესდეს პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის ინფორმირება და კომპეტენტურობა ისეთ საკითხებში, როგორიცაა პროგრამის შედეგების ფორმირება/ფორმულირება, გაზომვადობა, სწავლების და შეფასების მეთოდები, რაც დადებით გავლენას მოახდენ მათ მიერ მომზადებულ პროგრამებზე.
რეკომენდებულია, პროგრამის ხარისხის გარე შეფასებისთვის გამოყენებული კითხვარები/სხვ. შეესაბამებოდეს დასმულ მიზანს.
რეკომენდებულია, პროგრამის გარე შეფასება განახორციელონ დარგის სპეციალისტებმა (არა მხოლოდ დამსაქმებლებმა, არამედ უსდ-ების წარმომადგენლებმაც), რომლებსაც ამ მიზნით მიეწოდებათ სრული ინფორმაცია პროგრამის შესახებ. რეკომენდებულია, პროგრამის გარე შეფასება განხორციელდეს სისტემატურად, მოხდეს გარე შეფასების შედეგების ფორმალიზება ისეთი ფორმით, რომლითაც იქნება შესაძლებელი გარე შეფასების შედეგების და მათ საფუძველზე განხორციელებული ცვლილებების იდენტიფიცირება.
რეკომენდებულია შემუშავდეს ხარისხის უზრუნველყოფის სხვადასხვა მექანიზმების გამოყენების გეგმა (სქემა), რომელშიც იქნება მითითებული როდის, რა პერიოდულობით, ვის მიერ და ვისი ჩართულობით განხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ამა თუ იმ მეთოდის გამოყენება და ა.შ.
რეკომენდებულია განხორციელდეს პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლა, ანალოგიურ პროგრამებთან დადარება და შედეგების გამოყენება, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს პროგრამების ინტერნაციონალიზაციას და გაცვლითი პროგრამების განხორციელებას, რის მიმართ სტუდენტების მაღალი დაინტერესება არსებობს.
რეკომენდებულია დაწესებულებამ გააუმჯობესოს კვლევითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაცია და სასწავლო-სამეცნიერო პროცესების საერთაშორისო განვითარება.
რაც შეეხება რეკომენდაციებს ცალკეული პროგრამების მიხედვით ისტორიის საბაკალავრო პროგრამასთან დაკავშირებით:
რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავებაში სტუდენტთა ჩართულობა და ინფორმირება.
რეკომენდებულია, სასწავლო აქტივობების და მათი შეფასების კრიტერიუმების უფრო გამრავალფეროვნება.
რეკომენდებულია, განახლდეს სასწავლო ლიტერატურა. სილაბუსების უმრავლესობაში ის მოძველებულია. პროგრამის ზოგად სავალდებულო კურსებშიც კი ახალი განმაზოგადებელი სახელმძღვანელოებია გამოსული.
რეკომენდებულია, საფუძვლიანად განახლდეს სასწავლო კურსის „ქართული ხელოვნების ისტორია“ სილაბუსი, რადგან კურსის შინაარსი სრულად ვერ პასუხობს კურსის დასახელებას. კერძოდ ავტორი ხელოვნებაში მხოლოდ არქიტექტურას მოიაზრებს, არ არის საუბარი მხატვრობაზე, გლიპტიკაზე, ტორევტიკაზე. თავად არქიტექტურაც არასრულყოფილად არის წარმოდგენილი, საერთოდ უგულებელყოფილია საერო არქიტექტურა (საცხოვრებლები, ციხე-სიმაგრეები, სამეფო რეზიდენციები). საერთოდ არ არის სილაბუსში წარმოდგენილი ბოლო 3 საუკუნის ქართული ხელოვნება.
რეკომენდებულია, ისტორიის საბაკალავრო პროგრამის სავალდებულო საგანი და არსებითად პროგრამის ერთ-ერთი უმთავრესი სასწავლო კურსის „ისტორიის შესავალის“ შინაარსი

სრულად შეიცვალოს. ვინაიდან წარმოდგენილ სილაბუსში აღწერილი სასწავლო თემატიკა არ არის „ისტორიის შესავალი“, რაც საყოველთაოდ არის მიღებული საქართველოს უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების მიერ და ანალოგი გვხვდება ყველა უსდ-ის ისტორიის საბაკალავრო პროგრამაზე. განსაკუთრებით თემები: 4, 5, 6, 7, 8, 9 სრულიად შეუთავსებელია ამ სასწავლო კურსისთვის.

რეკომენდებულია სასწავლო კურსების სილაბუსებში თავიდან იქნას აცილებული თემატიკის განმეორება, კერძოდ: 1. „მახლობელი აღმოსავლეთის ისტორია“ და „შუა საუკუნეების ისტორია“; 2. „აზია-აფრიკის ახალი და უახლესი ისტორია“ და „მახლობელი აღმოსავლეთის ისტორია“.

რაც შეეხება საქართველოს ისტორიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას რეკომენდაციებმა შემდეგი სახე მიიღო :

რეკომენდებულია დაიხვეწოს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი.

რეკომენდებულია გათვალისწინებულ იქნეს მაგისტრატურის საფეხურის თავისებურებები - შესწავლას და შეფასებას დაექვემდებაროს პროგრამის სამეცნიეროკვლევითი კომპონენტის განხორციელების და ხელშეწყობის ხარისხი. პროგრამა არ ითვალისწინებს საერთაშორისო ბაზრის ტენდენციებსა და საჭიროებებს. ამასთან არ არის წარმოდგენილი ინტერნაციონალიზაციის ის დონე და თემატიკა, რაც ამ საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის თავისებურებებს შეესაბამება. კერძოდ, სტუდენტებს უნდა მიეწოდებოდეს ინფორმაცია დარგში უახლესი სამეცნიერო მიღწევების, კვლევითი პრიორიტეტების, მეთოდოლოგიური ნოვაციების შესახებ.

რეკომენდებულია სამაგისტრო ნაშრომის შეფასების ობიექტურობის უზრუნველსაყოფად, შეიცვალოს სამაგისტრო ნაშრომის შეფასებაში ხელმძღვანელის 60 %-იანი წილი. სამაგისტრო ნაშრომის შეფასებაში ხელმძღვანელი საერთოდ არ უნდა მონაწილეობდეს ან დაბალი წონის შეფასება ჰქონდეს, სანაცვლოდ კი გაიზარდოს რეცენზენტის და კომისიის ხვედრითი წილი.

რეკომენდებულია სტუდენტებს დეტალურად და სიღრმისეულად მიეწოდოთ ინფორმაცია შეფასების გასაჩივრების მექანიზმისა და პროცედურის შესახებ.

რეკომენდებულია სტუდენტებს დეტალურად და სიღრმისეულად მიეწოდოთ ინფორმაცია პლაგიატის მნიშვნელობის, მისი საჭიროებისა და პრევენციის შესახებ. საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამაში ორი სასწავლო კურსის თითქმის იდენტურია. ეს არის „საქართველო და ევროპის ქვეყნები 10-20 სს-ში“ და „ქართული დიპლომატიის ისტორია“. ცალკეული თემების დამთხვევის გარდა ეს 2 კურსი კონცეფციით იდენტური სასწავლო კურსებია და ორივე მათგანის დატოვების არანაირი აუცილებლობა არ არსებობს.

რაც შეეხება არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამას, რეკომენდაციებმა შემდეგი სახე მიიღო :

რეკომენდირებულია პროგრამის მიზანი შესაბამისობაში მოვიდეს არქეოლოგიის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის სწავლის სფეროს აღწერასა და უმაღლესი განათლების II საფეხურის მოთხოვნებთან.

რეკომენდებულია დაიხვეწოს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი.

რეკომენდებულია დაიხვეწოს პროგრამის სტრუქტურა და მისი მიზნები, სწავლის შედეგები მოვიდეს შესაბამისობაში არქეოლოგიის დარგობრივ მახასიათებელთან.

რეკომენდებულია სამაგისტრო ნაშრომის შეფასების ობიექტურობის უზრუნველსაყოფად, შეიცვალოს სამაგისტრო ნაშრომის შეფასებაში ხელმძღვანელების 60 %-იანი წილი. სამაგისტრო ნაშრომის შეფასებაში ხელმძღვანელი საერთოდ არ მონაწილეობდეს ან დაბალი წონის შეფასება ჰქონდეს, სანაცვლოდ კი გაიზარდოს რეცენზენტის და კომისიის ხვედრითი წილი.

რეკომენდებულია გაძლიერდეს კონტროლი პროგრამით მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან სამაგისტრო ნაშრომების თემების შესაბამისობის ნაწილში.

რეკომენდებულია სალექციო თემატიკის გამეორების სასწავლო კურსში: (არქეოლოგიის

რეკომენდებულია სასწავლო კურსში არქეოლოგიის საფუძვლები გადაიხედოს და განახლდეს ლიტერატურა I, V, VI, VIII, X კვირის თემებთან დაკავშირებით. გადაიხედოს და გასწორდეს ცალკეული უზუსტობები დამხმარე ლიტერატურის ჩამონათვალში.

რეკომენდებულია სასწავლო კურსში საქართველოს არქეოლოგია 2 გადაიხედოს ძირითადი ლიტერატურის შესაბამისობა თემატიკასთან. დაზუსტდეს პირველი ლექციის თემა. გადაიხედოს და გასწორდეს ცალკეული უზუსტობები დამხმარე ლიტერატურის სიაში.
რეკომენდებულია სასწავლო კურსში საველე არქეოლოგია XII ლექციის თემას დაემატოს შესაბამისი ლიტერატურა. გადაიხედოს და ახალი ლიტერატურით განახლდეს XX საუკუნის 50-იანი და 60-იანი წლების რუსულენოვანი ლიტერატურა. სალექციო თემატიკაში აისახოს ბოლო წლების ინოვაციები არქეოლოგიურ კვლევებში, მაგალითად გეოინფორმაციული სისტემა, ინტერდისციპლინარული კვლევები და ა. შ.
რეკომენდებულია გადაიხედოს და განახლდეს ძირითადი ლიტერატურა სასწავლო კურსში „კლასიკური არქეოლოგია“. გადაიხედოს და გასწორდეს ცალკეული უზუსტობები სასწავლო კურსებში „ბიბლიური არქეოლოგია“, „კულტურული მემკვიდრეობის მენეჯმენტი“, „შუა საუკუნეების არქეოლოგია“.
  რეკომენდებულია სასწავლო კურსში „საველე არქეოლოგიური პრაქტიკა“ დაზუსტდეს პრაქტიკის რაობა და განისაზღვროს ზუსტი ხანგრძლივობა.
რეკომენდებულია სასწავლო კურსები, რომელთა სწავლის შედეგები არ არის ასახული პროგრამის სწავლის შედეგებში, გადატანილი იქნას არჩევით სასწავლო კურსებში. საფუძვლები და საქართველოს არქეოლოგია - 1, 2) თავიდან არიდება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას. აღნიშნა, რომ მათ გაიარეს როგორც სამართლის ასევე ფილოლოგიის კლასტერული აკრედიტაცია ახლა კი პარალელურად ისტორიის. რეკომენდაციების ნაწილი, რომელიც აქ არის მოცემული სხვა პროგრამებშიც ჰქონდათ. შესაბამისად, ამ საკითხებზე დიდი ხანია მუშაობენ, ამის მიუხედავად მაინც გამოიკვეთა რიგი საკითხები. მაგალითად, თემატიკის გადაფარვა. შესაბამისად უნივერსიტეტმა დასვა რიგი პირების პასუხიმგებლობის საკითხი, განიხილეს ამ პროგრამებში მონაწილე პირების ფუნქციები, შესაძლებლობები და ა.შ. შესაბამისად მოახდინეს გადანაწილებები, რათა ეს რეკომენდაციები არა თუ შესრულდეს არამედ შემდეგშიც პერმანენტულად იქნას გათვალისწინებული, რადგან დასახელებული საკითხები არ არის მხოლოდ ერთჯერადი იგი არის ყოველწლიური საკითხები უნივერსიტეტში. შედარებით ადვილი და დროში მარტივად მოსაწესრიგებელი იყო სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელთან დაკავშირებული საკითხი. ეს თემატიკა ჰქონდათ, როგორც სასწავლო პროცესის მარეგულირებელში წარმოდგენილი ასევე იყო მაგისტრატურის დებულებაში გაორებაც, რაც გარკვეულწილად არ იყო სწორი ამიტომ ყველაფერი, რაც მაგისტრატურას ეხება სასწავლო პროცესიდან გადაიტანეს მაგისტრატურის დებულებაში და არის შესაბამისი მინიშნებები ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის მონაწილეობა შემოიფარგლა მხოლოდ დასკვნით, რომელსაც იგი წერს შრომის დასრულების შემდეგ რისი ძირითადი ამოცანაც არის სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი ადასტურებს, რომ ნაშრომი მზადაა რეცენზირებისათვის, შემდეგი შეფასებებისათვის და ა.შ. ნაშრომის შეფასებაში 100 ქულიანი შეფასება გადავიდა აბსოლუტურად კომისიაზე, აქვთ შეფასების 9 კრიტერიუმი, რომელიც ითვალისწინებს სამაგისტრო ნაშრომი იყოს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი. რაც შეეხება საკითხს სამაგისტრო ნაშრომის კვლევის დროს საერთაშორისოდ მიღებული გაფორმების წესებს. სამართლის პროგრამაზე ჰყავთ კომპეტენტური პირი, რომელსაც სთხოვეს და დაგეგმეს ტრენინგები ერთი კი უკვე ჩაატარეს, რომელშიც მონაწილეობას ღებულობს ყველა პროგრამის ის პირი, რომელიც უფლებამოსილია უხელმძღვანელოს სამაგისტრო ნაშრომს პლუს ამას აკადემიური წერა და კვლევა ამ სათაურით იქნება ეს სილაბუსი, რომელშიც შევა ასევე როგორ უნდა დაიწეროს ნაშრომი როგორც საბაკალავრო ასევე სამაგისტრო დონეზე იმისათვის, რომ თანამედროვე მოთხოვნებს აკმაყოფილებდეს. რაც შეეხება მეხუთე სტანდარტთან მიმართებით აქ მოცემული სილაბუსები, რა თქმა უნდა, გადახედვას საჭიროებს პროცესი

დაწყებულია ამ ეტაპზე მათ აქვთ პირველადი სია სამეცნიერო ლიტერატურის, რომელიც არის თანამედროვე უახლესი, მიმდინარეობს ამ ლიტერატურისათვის შესყიდვის ღონისძიებები. აქვთ მემორანდუმი საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკასთან და ისეთი წიგნები, რომელიც შესაძლოა ვერ შეიძინონ ბიბლიოთეკა ხშირად უსკანერებს და უგზავნის იმ წიგნებს, რომლებიც ელექტრონული სახით არ მოიპოვება ბაზარზე. რაც ნაწილობრივ პასუხობს სწავლების პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიების შესახებ გამოყენებულ რეკომენდაციებს. მე-5 სტანდარტში საუბარი იყო, როგორც შიდა ასევე გარე შეფასებებზე ამ საკითხზე დაწყებული აქვთ მუშაობა ყოველწლიური ციკლის ფარგლებში შესასრულებელი ამოცანებისა და საქმიანობების გეგმა-გრაფიკს წერენ, რომელიც მუდმივად იქნება და ყოველწლიურად იმუშავებს თავისი ვადებით, პასუხისმგებელი პირებით, მტკიცებულებებით და მონიტორინგის ჩათვლით. თქვა რომ გარე შეფასების ნაწილში კურსდამთავრებულებთან მიმართებით სწორი იყო შენიშვნა. 2019 წლიდან, როდესაც კვალიფიკაციის ეროვნული ჩარჩო შემოვიდა თქვა, რომ მნიშვნელოვანი მოდიფიცირება განიცადა პროგრამებმა და კურსდამთავრებულებს მოუწიათ არა ახალი მოდიფიცირებული პროგრამის, არამედ ძველი პროგრამის მოდიფიცირება და აცდენა ჰქონდათ შესაბამისად, ეს პროცესი ხელახლა განმეორდება მომდევნო წლიდან. რა თქმა უნდა ჯერ კურსდამთავრებული არ იქნება, მაგრამ გარე შეფასების ამ მუხლში ეს პუნქტი გათვალისწინებული იქნება ამასთანავე დაგეგმილია მიმართონ, რამდენიმე უნივერსიტეტს არქეოლოგიის მიმართულებით მომუშავე პირებს და ამ პროცესში ჩართონ სხვადასხვა უნივერსიტეტიც, რომ ეს რეკომენდაციაც განახორციელონ. ამასთანავე დაწყებული აქვთ ამ რეკომენდაციების შესრულების გეგმა-გრაფიკზე მუშაობა, რომლის 60-70 % გაკეთებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ საკუთარი მოსაზრებები.
საბჭოს წევრი გურანდა ჭელიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და დასვა დამაზუსტებელი კითხვა ექსპერტებთან: დასკვნაში ექსპერტები მიუთითებენ სასწავლო კურსების სილაბუსებში ლიტერატურის დეფიციტისა და მისი განახლების შესახებ. მან აღნიშნა, რომ ისეთ სასწავლო კურსებშიც კი, სადაც გვაქვს სასწავლო ლიტერატურა, ვხვდებით რიდერებს და დააზუსტა ექსპერტებთან ვიზიტის დროს ნახეს თუ არა მითითებული რიდერები, დააზუსტეს თუ არა რატომ რიდერები და არა კონკრეტული სახელმძღვანელოები თუ დაწესებულებას დასკანერებული სახით მიეწოდება ყველა საჭირო სასწავლო ლიტერატურა.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ მთელი სირთულე იყო ის რომ ვიზიტი დიდთოვლობის გამო ჩატარდა დისტანციურად, ამ პროცესშიც გარკვეულ პერიოდებში ინტერნეტის პრობლემაც იყო ბიბლიოთეკა დაათვალიერეს ვიდეო თვალით, მაგრამ დეტალური შემოწმება ძალიან რთული იყო. კონკრეტული რიდერი ადგილზე არის თუ არა ამის შემოწმება ფაქტობრივად შეუძლებელი იყო არსებულ სიტუაციაში.
საბჭოს წევრმა გურანდა ჭელიძემ იგივე კითხვით მიმართა დაწესებულებას თუ რატომ შეაჩერეს არჩევანი რიდერებზე იმ სასწავლო კურსებში, რომლებშიც რეალურად ხელმისაწვდომია ლიტერატურა
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ რიდერი არის უშუალოდ სასწავლო კურსის და ლექტორის მიერ შექმნილი მაგალითად სალექციო კურსი, ასევე პირდაპირ აღებული ესა თუ ის წიგნი, თუმცა იქვე უნა იყოს მითითებული ის წიგნი ან წიგნები რის საფუძველზეც არის ეს რიდერი მომზადებული.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 12:58 სთ
დასრულების დრო: 13:12 სთ

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის "ისტორიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის მინიჭების საკითხი:

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი -3

გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-5 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-5 და მე-9 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლ ის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის No223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის „ისტორიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია 2 წლის ვადით.

საგანმანათლებლო დაწესებულებას აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავებაში სტუდენტთა ჩართულობა და ინფორმირება;
2. უნდა გასწორდეს და თავიდან იქნას აცილებული თემატიკის განმეორება: „მახლობელი აღმოსავლეთის ისტორია“ და „შუა საუკუნეების ისტორია“; „მახლობელი აღმოსავლეთის ისტორია“ და „აზია-აფრიკის ახალი და უახლესის ისტორიის“ სასწავლო კურსების სილაბუსში;
3. სასწავლო კურსის „ქართული ხელოვნების ისტორია“ სილაბუსი საფუძვლიანად არის გასაახლებელი, რადგან კურსის შინაარსი სრულად ვერ პასუხობს კურსის დასახელებას;
4. საფუძვლიანად შესაცვლელია ისტორიის საბაკალავრო პროგრამის უმთავრესი სასწავლო კურსის „ისტორიის შესავალი“ სილაბუსი;
5. სასწავლო კურსის „დამხმარე საისტორიო დისციპლინები“ თემატიკა და ლიტერატურა არ არის რელევანტური;
6. ისტორიული გეოგრაფია და ნუმიზმატიკა რეკომენდებულია ცალკე სასწავლო კურსებად გამოიყოს, რადგან მათი მოცულობიდან და მნიშვნელობიდან გამომდინარე 1-2 კვირაში მათი სრულფასოვნად სწავლება შეუძლებელია;
7. დასახვეწია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები;
8. პროგრამების განმახორციელებელთა და ხელმძღვანელთა უშუალო მონაწილეობით გასწორდეს სხვადასხვა ავტორების სასწავლო კურსების სილაბუსებს შორის არსებული გადაფარვები და დადგინდეს შეჯერებული ვერსიები;
9. ისტორიის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსი „ქართული ხელოვნების ისტორია“, საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კურსი „ქართული ხუროთმოძღვრება“ და არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კურსი „ქართული არქიტექტურის ისტორია“ შინაარსობრივად იდენტურია, რაც კორექტირებას საჭიროებს;
10. სწავლების პროცესში უნდა იყოს გამოყენებული თანამედროვე ტექნოლოგიები და სასწავლო ციფრული მასალა;

11. მეტად უნდა იყოს გამოყენებული პრაქტიკული და კვლევითი საქმიანობის უნარების დასაუფლებლად გამოყენებული სწავლების მეთოდები;
12. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-5 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტი, რომელიც ითვალისწინებს სტუდენტის სტატუსის შეჩერებას სასწავლო პროცესის სისტემატიური გაცდენა ან/და სწავლის მიმდინარეობის პროცესში დაბალი აკადემიური შედეგების მიხედვით (F შეფასებები);
13. სტუდენტებს დეტალურად და სიღრმისებულად მიეწოდოთ ინფორმაცია შეფასების გასაჩივრების მექანიზმისა და პროცედურის შესახებ;
14. სტუდენტებს დეტალურად და სიღრმისეულად მიეწოდოთ ინფორმაცია პლაგიატის მნიშვნელობის, მისი საჭიროებისა და პრევენციის შესახებ;
15. დაწესებულებამ უზრუნველყოს სტუდენტები პროგრამის შესაბამისად ეფექტური პრაქტიკული სამუშაოებით, რომელიც ადეკვატური იქნება პრაქტიკული მიმართულებით მათი უნარ-ჩვევების განსავითარებლად;
16. დაწესებულებამ უზრუნველყოს სტუდენტების ინფორმირება საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების, კვლევებისა და კონფერენციების შესახებ;
17. დაწესებულებამ უზრუნველყოს სტუდენტების ინიციატივებისა და შეთავაზებების ადაპტირება და პრაქტიკაში განხორციელება;
18. ნაშრომის შესრულებისას, მეტად მოხდეს პრაქტიკული ცოდნის გაზიარება ხელმძღვანელის მხრიდან;
19. სასწავლო პროცესის სრულფასოვნად წარმართვისა და აკადემიური თუ მოწვეული პერსონალის დატვირთვის გრაფიკის რეალურად განხორციელებისთვის დაწესებულებამ იზრუნოს ტერიტორიაზე ლექტორთა დორმიტორის ტიპის კემპუსის მოწყობაზე, სადაც ხანგრძლივი დროით ყოფნა იქნება შესაძლებელი;
20. რეკომენდებულია სამაგისტრო ნაშრომის შეფასების ობიექტურობის უზრუნველსაყოფად, შეიცვალოს სამაგისტრო ნაშრომის შეფასებაში ხელმძღვანელების 60 %-იანი წილი;
21. სამაგისტრო ნაშრომის შეფასებაში ხელმძღვანელი საერთოდ არ მონაწილეობდეს ან დაბალი წონის შეფასება ჰქონდეს, სანაცვლოდ კი გაიზარდოს რეცენზენტის და კომისიის ხვედრითი წილი;
22. რეკომენდებულია დაწესებულებამ გააუმჯობესოს კვლევითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაცია და სასწავლო-სამეცნიერო პროცესების საერთაშორისო განვითარება;
23. გასაუმჯობესებელია დაწესებულების სასწავლო-მატერიალური ბაზა;
24. გასაახლებელია ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი, მათ შორის რიდერებით და ელექტრონული სასწავლო მასალით;
25. აუცილებელია დაწესებულების ვებ-გვერდის გააქტიურება და მასზე სტუდენტებისთვის მნიშვნელოვანი უახლესი ინფორმაციის განთავსება;
26. პროგრამების განმახორციელებელთა და ხელმძღვანელთა უშუალო მონაწილეობით გასწორდეს სხვადასხვა ავტორების სასწავლო კურსების სილაბუსებს შორის არსებულ გადაფარვები და დადგინდეს შეჯერებული ვერსიები;
27. ისტორიის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსი „ქართული ხელოვნების ისტორია“, საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კურსი „ქართული ხუროთმოძღვრება“ და არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კურსი „ქართული არქიტექტურის ისტორია“ შინაარსობრივად იდენტურია, რაც კორექტირებას საჭიროებს;
28. რეკომენდებულია, იყოს უზრუნველყოფილი პროგრამის განვითარებაში ყველა მომაწილე პირის ინფორმირება პროგრამისთვის მნიშვნელოვანი ასპექტის შესახებ და პროგრამის ერთიანი ხედვის ჩამოყალიბება;
29. რეკომენდებულია, პროგრამის შეფასების მიზნით, სტანდარტების მოთხოვნებზე დაყრდნობით, განხორციელდეს პროგრამისთვის მნიშვნელოვანი

გარემოებების/ასპექტების წინასწარი იდენტიფიცირება და ანალიზი, შესაბამისობის მიღწევისათვის აუცილებელი ქმედებების დაგეგმვა და განხორციელება;

30. რეკომენდებულია, პროგრამის განვითარების/შეფასების ყველა ეტაპზე იყოს განსაზღვრული და გამოყენებული ეტაპის სპეციფიკის შესაბამისი ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომელთა შესრულებაზე პასუხისმგებლობას აიღეს პროგრამის გუნდი, ხოლო პროგრამის გუნდის საკმარის კონსულტირებაზე, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გამოყენებისა და შედეგების კონტრომზე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური;
31. რეკომენდებულია, პროგრამის შიდა შეფასება ჩატარდეს კომპლექსურად (მაგ., SWOT ანალიზის მეღვეობით), შეფასებას და კონტროლს დაექვემდებაროს პროგრამის და მისი ყველა კომპონენტის როგორც შინაარსობრივი (მათ შორის,წინაპირობები, მიზნები, შედეგები, მათი მიღწევარობა და ა.შ.), ისე ტექნიკური (ჩანაწერების სისწორე, სხვა ჩანაწერებთან ურთიერთშესაბამისობა და ა.შ.) მხარეები;
32. რეკომენდებულია, კონტროლს დაექვემდებაროს მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობა როგორც მარეგულირებელი დოკუმენტების, ისე პროგრამის კურიკულუმის დონეზე;
33. რეკომენდებულია, იყოს უზრუნველყოფილი ერთსა და იმავე საკითხთან დაკავშირებით ერთგვაროვანი მიდომების გამოყენება, კონტროლს დაექვემდებაროს სხვადასხვა დოკუმენტებში არსებული ჩანაწერების ურთიერთშესასამისობა;
34. რეკომენდებულია გაუმჯობესდეს პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის ინფორმიარება და კომპეტენტურობა ისეთ საკითხებში, როგორიცაა პროგრამის შედეგების ფორმირება/ფორმულირება, გაზომვადობა, სწავლების და შეფასების მეთოდები, რაც დადებით გავლენას მოახდენ მათ მიერ შემუშავებულ პროგრამებზე;
35. რეკომენდებულია, პროგრამის ხარისხის გარე შეფასებისთვის გამოყენებული კითხვარები/სხვ. შეესაბამებოდეს დასმულ მიზანს;
36. რეკომენდებულია, პროგრამის გარე შეფასება განახორციელონ დარგის სპეციალისტებმა (არამხოლოდ დამსაქმებლებმა, არამედ უსდ-ების წარმომადგენლებმაც), რომლებსაც ამ მიზნით მიეწოდებათ სრული ინფორმაცია პროგრამის შესახებ;
37. რეკომენდებულია, პროგრამის გარე შეფასება განხორციელდეს სისტემატურად, მოხდეს გარე შეფასების შედეგების ფორმალიზება ისეთი ფორმით, რომლითაც იქნება შესაძლებელი გარე შეფასების შედეგების და მათ საფუძველზე განხორციელებული ცვლილებების იდენტიფიცირება;
38. რეკომენდებულია შემუშავდეს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გამოყენების გეგმა (სქემა), რომელშიც იქნება მითითებული როდის, რა პერიოდულობით, ვის მიერ და ვისი ჩართულობით განხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ამა თუ იმ მეთოდის გამოყენება და ა.შ;
39. რეკომენდებულია განხორციელდეს პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლა, ანალოგიურ პროგრამებთან დადარება და შედეგების გამოყენება, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს პროგრამების ინტერნაციონალიზაციას და გაცვლითი პროგრამების განხორციელებას, რის მიმართ სტუდენტების მაღალი დაინტერესება არსებობს.

რჩევები:

1. ისტორიის საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურისთვის ნაკლებად აქტუალურია სასწავლო კურსები: გლიპტიკა და კულტურული ანთროპოლოგია. შესაძლებელია მისი ჩანაცვლება ისტორიული გეოგრაფიის და ნუმიზმატიკის სასწავლო კურსებით;

2. დაწესებულების მხრიდან კარგი იქნება თუ ჩატარდება ტრენინგები ან/და შეხვედრები, სადაც სტუდენტებს კარგად აუხსნიან პლაგიატის მნიშვნელობის შესახებ, მისი დადგენის შესახებ, ვინაიდან აღნიშნული დაეხმარებათ ცნობიერების ამაღლებასა და სხვისი ინტელექტუალური საკუთრების პატივისცემაში;
3. სტუდენტების მხრიდან სასურველია თუ მეტად იქნება საუნივერსიტეტო მეილის გამოყენება (თუ არსებობს) აქტუალური;
4. სასურველია დაწესებულებამ უზრუნველყოს სტუდენტებისათვის კონფერენციების მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა;
5. სასურველია ხელმძღვანელის მიერ პრაქტიკულ ობიექტებზე სტუდენტების წაყვანა და დეტალების გაცნობა, ვინაიდან აღნიშნული სტუდენტებს დაეხმარება მათი სამაგისტრო ნაშრომის შესრულებაში;
6. კლასტერის თვითშეფასების ანგარიშიდან სამომავლოდ ამოღებულ იქნას განსაზღვრება: „სამაგისტრო ნაშრომი შესაძლებელია შესრულდეს ევროპისა და ამერიკის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები XVI-XXI საუკუნის დასაწყისში“. ეს არ შეესატყვისება სამაგისტრო პროგრამას და არც ამ კვალიფიკაციის სპეციალისტები ჰყავს სასწავლო უნივერსიტეტს, ვინც შეძლებდა ამ ტიპის სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობას.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის "საქართველოს ისტორიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის მინიჭების საკითხი:
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი -0

გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-5 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-5 და მე-9 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლ ის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის No223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის "საქართველოს ისტორიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია 2 წლის ვადით.

საგანმანათლებლო დაწესებულებას აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

რეკომენდაციები:

1. პროგრამა არ ითვალისწინებს საერთაშორისო ბაზრის ტენდენციებსა და საჭიროებებს. ამასთან არ არის წარმოდგენილი ინტერნაციონალიზაციის ის დონე და თემატიკა, რაც ამ საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის თავისებურებებს შეესაბამება. კერძოდ, სტუდენტებს უნდა მიეწოდებოდეს ინფორმაცია დარგში უახლესი სამეცნიერო მიღწევების, კვლევითი პრიორიტეტების, მეთოდოლოგიური ნოვაციების შესახებ;

2. მნიშვნელოვანია სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიის გამოყენება, უახლესი ლიტერატურით სასწავლო პროცესის წარმართვა, დარგში მეცნიერების თანამედროვე მიღწევების ცოდნა და მათი დანერგვა სწავლის პროცესში;
3. პროგრამის სწავლის შედეგები საჭიროებს სტუდენტთა მეტ ინფორმირებულობას;
4. რეკომენდებულია სტუდენტებს დეტალურად და სიღრმისეულად მიეწოდოთ ინფორმაცია შეფასების გასაჩივრების მექანიზმისა და პროცედურის შესახებ;
5. რეკომენდებულია დაკორექტირდეს და გადაიხედოს სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესში შეფასების კრიტერიუმები;
6. საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამაში ორი სასწავლო კურსის თითქმის იდენტურია. ეს არის „საქართველო და ევროპის ქვეყნები 10-20 სს-ში“ და „ქართული დიპლომატიის ისტორია“. ცალკეული თემების დამთხვევის გარდა ეს 2 კურსი კონცეფციით იდენტური სასწავლო კურსებია და ორივე მათგანის დატოვების არანაირი აუცილებლობა არ არსებობს;
7. რეკომენდებულია გადამუშავდეს სასწავლო კურსების სილაბუსები: „მსოფლიო ისტორიის პრობლემები“, „ქართული იდენტობის ისტორია“, „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორია“, „დამხმარე საისტორიო დისციპლინები“;
8. დაკორექტირდეს და გადაიხედოს სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესში შეფასების კრიტერიუმები;
9. რეკომენდებულია გათვალისწინებულ იქნეს მაგისტრატურის საფეხურის თავისებურებები - შესწავლას და შეფასებას დაექვემდებაროს პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის განხორციელების და ხელშეწყობის ხარისხი.
10. დასახვეწია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები.
11. პროგრამების განმახორციელებელთა და ხელმძღვანელთა უშუალო მონაწილეობით გასწორდეს სხვადასხვა ავტორების სასწავლო კურსების სილაბუსებს შორის არსებული გადაფარვები და დადგინდეს შეჯერებული ვერსიები;
12. ისტორიის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსი „ქართული ხელოვნების ისტორია“, საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კურსი „ქართული ხუროთმოძღვრება“ და არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კურსი „ქართული არქიტექტურის ისტორია“ შინაარსობრივად იდენტურია, რაც კორექტირებას საჭიროებს;
13. სწავლების პროცესში უნდა იყოს გამოყენებული თანამედროვე ტექნოლოგიები და სასწავლო ციფრული მასალა.
14. მეტად უნდა იყოს გამოყენებული პრაქტიკული და კვლევითი საქმიანობის უნარების დასაუფლებლად გამოყენებული სწავლების მეთოდები.
15. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-5 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტი, რომელიც ითვალისწინებს სტუდენტის სტატუსის შეჩერებას სასწავლო პროცესის სისტემატიური გაცდენა ან/და სწავლის მიმდინარეობის პროცესში დაბალი აკადემიური შედეგების მიხედვით (F შეფასებები).
16. სტუდენტებს დეტალურად და სიღრმისეულად მიეწოდოთ ინფორმაცია შეფასების გასაჩივრების მექანიზმისა და პროცედურის შესახებ.
17. სტუდენტებს დეტალურად და სიღრმისეულად მიეწოდოთ ინფორმაცია პლაგიატის მნიშვნელობის, მისი საჭიროებისა და პრევენციის შესახებ.
18. დაწესებულებამ უზრუნველყოს სტუდენტები პროგრამის შესაბამისად ეფექტური პრაქტიკული სამუშაოებით, რომელიც ადეკვატური იქნება პრაქტიკული მიმართულებით მათი უნარ-ჩვევების განსავითარებლად.
19. დაწესებულებამ უზრუნველყოს სტუდენტების ინფორმირება საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების, კვლევებისა და კონფერენციების შესახებ.
20. დაწესებულებამ უზრუნველყოს სტუდენტების ინიციატივებისა და შეთავაზებების ადაპტირება და პრაქტიკაში განხორციელება.

21. ნაშრომის შესრულებისას, მეტად მოხდეს პრაქტიკული ცოდნის გაზიარება ხელმძღვანელის მხრიდან.
22. სასწავლო პროცესის სრულფასოვნად წარმართვისა და აკადემიური თუ მოწვეული პერსონალის დატვირთვის გრაფიკის რეალურად განხორციელებისთვის დაწესებულებამ იზრუნოს ტერიტორიაზე ლექტორთა დორმიტორის ტიპის კემპუსის მოწყობაზე, სადაც ხანგრძლივი დროით ყოფნა იქნება შესაძლებელი.
23. რეკომენდებულია სამაგისტრო ნაშრომის შეფასების ობიექტურობის უზრუნველსაყოფად, შეიცვალოს სამაგისტრო ნაშრომის შეფასებაში ხელმძღვანელების 60 %-იანი წილი.
24. სამაგისტრო ნაშრომის შეფასებაში ხელმძღვანელი საერთოდ არ მონაწილეობდეს ან დაბალი წონის შეფასება ჰქონდეს, სანაცვლოდ კი გაიზარდოს რეცენზენტის და კომისიის ხვედრითი წილი.
25. რეკომენდებულია დაწესებულებამ გააუმჯობესოს კვლევითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაცია და სასწავლო-სამეცნიერო პროცესების საერთაშორისო განვითარება.
26. გასაუმჯობესებელია დაწესებულების სასწავლო-მატერიალური ბაზა.
27. გასაახლებელია ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი, მათ შორის რიდერებით და ელექტრონული სასწავლო მასალით.
28. აუცილებელია დაწესებულების ვებ-გვერდის გააქტიურება და მასზე სტუდენტებისთვის მნიშვნელოვანი უახლესი ინფორმაციის განთავსება.
29. პროგრამების განმახორციელებელთა და ხელმძღვანელთა უშუალო მონაწილეობით გასწორდეს სხვადასხვა ავტორების სასწავლო კურსების სილაბუსებს შორის არსებულ გადაფარვები და დადგინდეს შეჯერებული ვერსიები.
30. რეკომენდებულია, იყოს უზრუნველყოფილი პროგრამის განვითარებაში ყველა მომაწილე პირის ინფორმირება პროგრამისთვის მნიშვნელოვანი ასპექტის შესახებ და პროგრამის ერთიანი ხედვის ჩამოყალიბება;
31. რეკომენდებულია, პროგრამის შეფასების მიზნით, სტანდარტების მოთხოვნებზე დაყრდნობით, განხორციელდეს პროგრამისთვის მნიშვნელოვანი გარემოებების/ასპექტებისწინასწარი იდენტიფიცირება და ანალიზი, შესაბამისობის მიღწევისათვის აუცილებელი ქმედებების დაგეგმვა და განხორციელება;
32. რეკომენდებულია, პროგრამის განვითარების/შეფასების ყველა ეტაპზე იყოს განსაზღვრული და გამოყენებული ეტაპის სპეციფიკის შესაბამისი ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომელთა შესრულებაზე პასუხისმგებლობას აიღეს პროგრამის გუნდი, ხოლო პროგრამის გუნდის საკმარის კონსულტირებაზე, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გამოყენებისა და შედეგების კონტროლზე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური;
33. რეკომენდებულია, პროგრამის შიდა შეფასება ჩატარდეს კომპლექსურად (მაგ., SWOT ანალიზის მეღვეობით), შეფასებას და კონტროლს დაექვემდებაროს პროგრამის და მისი ყველა კომპონენტის როგორც შინაარსობრივი (მათ შორის, წინაპირობები, მიზნები, შედეგები, მათი მიღწევარობა და ა.შ.), ისე ტექნიკური (ჩანაწერების სისწორე, სხვა ჩანაწერებთან ურთიერთშესაბამისობა და ა.შ.) მხარეები;
34. რეკომენდებულია, კონტროლს დაექვემდებაროს მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობა როგორც მარეგულირებელი დოკუმენტების, ისე პროგრამის კურიკულუმის დონეზე;
35. რეკომენდებულია, იყოს უზრუნველყოფილი ერთსა და იმავე საკითხთან დაკავშირებით ერთგვაროვანი მიდგომების გამოყენება, კონტროლს დაექვემდებაროს სხვადასხვა დოკუმენტებში არსებული ჩანაწერების ურთიერთშესასამისობა;

36. რეკომენდებულია გაუმჯობესდეს პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის ინფორმირება და კომპეტენტურობა ისეთ საკითხებში, როგორიცაა პროგრამის შედეგების ფორმირება/ფორმულირება, გაზომვადობა, სწავლების და შეფასების მეთოდები, რაც დადებით გავლენას მოახდენ მათ მიერ შემუშავებულ პროგრამებზე.
37. რეკომენდებულია, პროგრამის ხარისხის გარე შეფასებისთვის გამოყენებული კითხვარები/სხვ. შეესაბამებოდეს დასმულ მიზანს;
38. რეკომენდებულია, პროგრამის გარე შეფასება განახორციელონ დარგის სპეციალისტებმა (არამხოლოდ დამსაქმებლებმა, არამედ უსდ-ების წარმომადგენლებმაც), რომლებსაც ამ მიზნით მიეწოდებათ სრული ინფორმაცია პროგრამის შესახებ;
39. რეკომენდებულია, პროგრამის გარე შეფასება განხორციელდეს სისტემატურად, მოხდეს გარე შეფასების შედეგების ფორმალიზება ისეთი ფორმით, რომლითაც იქნება შესაძლებელი გარე შეფასების შედეგების და მათ საფუძველზე განხორციელებული ცვლილებების იდენტიფიცირება.
40. რეკომენდებულია შემუშავდეს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გამოყენების გეგმა (სქემა), რომელშიც იქნება მითითებული როდის, რა პერიოდულობით, ვის მიერ და ვისი ჩართულობით განხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ამა თუ იმ მეთოდის გამოყენება და ა.შ.
41. რეკომენდებულია განხორციელდეს პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლა,ანალოგიურ პროგრამებთან დადარება და შედეგების გამოყენება, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს პროგრამების ინტერნაციონალიზაციას და გაცვლითი პროგრამების განხორციელებას, რის მიმართ სტუდენტების მაღალი დაინტერესება არსებობს.

რჩევები:

1. დაწესებულების მხრიდან კარგი იქნება თუ ჩატარდება ტრენინგები ან/და შეხვედრები, სადაც სტუდენტებს კარგად აუხსნიან პლაგიატის მნიშვნელობის შესახებ, მისი დადგენის შესახებ, ვინაიდან აღნიშნული დაეხმარებათ ცნობიერების ამაღლებასა და სხვისი ინტელექტუალური საკუთრების პატივისცემაში.
2. სტუდენტების მხრიდან სასურველია თუ მეტად იქნება საუნივერსიტეტო მეილის გამოყენება (თუ არსებობს) აქტუალური.
3. სასურველია დაწესებულებამ უზრუნველყოს სტუდენტებისათვის კონფერენციების მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა.
4. სასურველია ხელმძღვანელის მიერ პრაქტიკულ ობიექტებზე სტუდენტების წაყვანა და დეტალების გაცნობა, ვინაიდან აღნიშნული სტუდენტებს დაეხმარება მათი სამაგისტრო ნაშრომის შესრულებაში.
5. კლასტერის თვითშეფასების ანგარიშიდან სამომავლოდ ამოღებულ იქნას განსაზღვრება: „სამაგისტრო ნაშრომი შესაძლებელია შესრულდეს ევროპისა და ამერიკის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები XVI-XXI საუკუნის დასაწყისში“. ეს არ შეესატყვისება სამაგისტრო პროგრამას და არც ამ კვალიფიკაციის სპეციალისტები ჰყავს სასწავლო უნივერსიტეტს, ვინც შეძლებდა ამ ტიპის სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობას.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის „არქეოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის მინიჭების საკითხი:

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 12

წინააღმდეგი -0

გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-5 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-5 და მე-9 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლ ის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის „არქეოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია 2 წლის ვადით.

საგანმანათლებლო დაწესებულებას აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

რეკომენდაციები:

1. რეკომენდირებულია პროგრამის მიზანი შესაბამისობაში მოვიდეს არქეოლოგიის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის სწავლის სფეროს აღწერასა და უმაღლესი განათლების II საფეხურის მოთხოვნებთან;
2. პროგრამის შედეგებში უნდა აისახოს არქეოლოგიის დარგობრივი მახასიათებლის მიერ განსაზღვრული სწავლის სფეროს მოთხოვნები და დარგობრივი უნარების, სამართლებრივი რეგულაციების და პროფესიული ეთიკის პრინციპების ცოდნა;
3. დაიხვეწოს პროგრამის სტრუქტურა და მისი მიზნები და სწავლის შედეგები მოვიდეს შესაბამისობაში არქეოლოგიის დარგობრივ მახასიათებელთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან;
4. პროგრამის სტრუქტურა მოვიდეს შესაბამისობაში არქეოლოგიის დარგობრივი მახასიათებლის მიხედვით განსაზღვრულ სწავლის მიზნებსა და შედეგებთან;
5. რეკომენდებულია სალექციო თემატიკის გამეორების სასწავლო კურსში: (არქეოლოგიის საფუძვლები და საქართველოს არქეოლოგია - 1, 2) თავიდან არიდება;
6. რეკომენდებულია სასწავლო კურსში არქეოლოგიის საფუძვლები გადაიხედოს და განახლდეს ლიტერატურა I, V, VI, VIII, X კვირის თემებთან დაკავშირებით. გადაიხედოს და გასწორდეს ცალკეული უზუსტობები დამხმარე ლიტერატურის ჩამონათვალში;
7. რეკომენდებულია სასწავლო კურსში საქართველოს არქეოლოგია 2 გადაიხედოს ძირითადი ლიტერატურის შესაბამისობა თემატიკასთან. დაზუსტდეს პირველი ლექციის თემა. გადაიხედოს და გასწორდეს ცალკეული უზუსტობები დამხმარე ლიტერატურის სიაში;
8. რეკომენდებულია სასწავლო კურსში საველე არქეოლოგია XII ლექციის თემას დაემატოს შესაბამისი ლიტერატურა. გადაიხედოს და ახალი ლიტერატურით განახლდეს XX საუკუნის 50-იანი და 60-იანი წლების რუსულენოვანი ლიტერატურა. სალექციო თემატიკაში აისახოს ბოლო წლების ინოვაციები არქეოლოგიურ კვლევებში, მაგალითად გეოინფორმაციული სისტემა, ინტერდისციპლინარული კვლევები და ა. შ.;
9. რეკომენდებულია გადაიხედოს და განახლდეს ძირითადი ლიტერატურა სასწავლო კურსში „კლასიკური არქეოლოგია“. გადაიხედოს და გასწორდეს ცალკეული უზუსტობები სასწავლო კურსებში „ბიბლიური არქეოლოგია“, „კულტურული მემკვიდრეობის მენეჯმენტი“, „შუა საუკუნეების არქეოლოგია“;
10. რეკომენდებულია სასწავლო კურსში: „საველე არქეოლოგიური პრაქტიკა“ დაზუსტდეს პრაქტიკის რაობა და განისაზღვროს ზუსტი ხანგრძლივობა;

11. დაკორექტირდეს და გადაიხედოს სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესში შეფასების კრიტერიუმები;
12. რეკომენდებულია გაძლიერდეს კონტროლი პროგრამით მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან სამაგისტრო ნაშრომების თემების შესაბამისობის ნაწილში;
13. რეკომენდებულია გათვალისწინებულ იქნეს მაგისტრატურის საფეხურის თავისებურებები - შესწავლას და შეფასებას დაექვემდებაროს პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის განხორციელების და ხელშეწყობის ხარისხი.
14. დასახვეწია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები.
15. პროგრამების განმახორციელებელთა და ხელმძღვანელთა უშუალო მონაწილეობით გასწორდეს სხვადასხვა ავტორების სასწავლო კურსების სილაბუსებს შორის არსებული გადაფარვები და დადგინდეს შეჯერებული ვერსიები;
16. ისტორიის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსი „ქართული ხელოვნების ისტორია“, საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კურსი „ქართული ხუროთმოძღვრება“ და არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კურსი „ქართული არქიტექტურის ისტორია“ შინაარსობრივად იდენტურია, რაც კორექტირებას საჭიროებს;
17. სწავლების პროცესში უნდა იყოს გამოყენებული თანამედროვე ტექნოლოგიები და სასწავლო ციფრული მასალა.
18. მეტად უნდა იყოს გამოყენებული პრაქტიკული და კვლევითი საქმიანობის უნარების დასაუფლებლად გამოყენებული სწავლების მეთოდები.
19. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-5 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტი, რომელიც ითვალისწინებს სტუდენტის სტატუსის შეჩერებას სასწავლო პროცესის სისტემატიური გაცდენა ან/და სწავლის მიმდინარეობის პროცესში დაბალი აკადემიური შედეგების მიხედვით (F შეფასებები).
20. სტუდენტებს დეტალურად და სიღრმისეულად მიეწოდოთ ინფორმაცია შეფასების გასაჩივრების მექანიზმისა და პროცედურის შესახებ.
21. სტუდენტებს დეტალურად და სიღრმისეულად მიეწოდოთ ინფორმაცია პლაგიატის მნიშვნელობის, მისი საჭიროებისა და პრევენციის შესახებ.
22. დაწესებულებამ უზრუნველყოს სტუდენტები პროგრამის შესაბამისად ეფექტური პრაქტიკული სამუშაოებით, რომელიც ადეკვატური იქნება პრაქტიკული მიმართულებით მათი უნარ-ჩვევების განსავითარებლად. დაწესებულებამ უზრუნველყოს სტუდენტების ინფორმირება საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების, კვლევებისა და კონფერენციების შესახებ.
23. დაწესებულებამ უზრუნველყოს სტუდენტების ინიციატივებისა და შეთავაზებების ადაპტირება და პრაქტიკაში განხორციელება.
24. ნაშრომის შესრულებისას, მეტად მოხდეს პრაქტიკული ცოდნის გაზიარება ხელმძღვანელის მხრიდან.
25. სასწავლო პროცესის სრულფასოვნად წარმართვისა და აკადემიური თუ მოწვეული პერსონალის დატვირთვის გრაფიკის რეალურად განხორციელებისთვის დაწესებულებამ იზრუნოს ტერიტორიაზე ლექტორთა დორმიტორის ტიპის კემპუსის მოწყობაზე, სადაც ხანგრძლივი დროით ყოფნა იქნება შესაძლებელი.
26. რეკომენდებულია სამაგისტრო ნაშრომის შეფასების ობიექტურობის უზრუნველსაყოფად, შეიცვალოს სამაგისტრო ნაშრომის შეფასებაში ხელმძღვანელების 60 %-იანი წილი.
27. სამაგისტრო ნაშრომის შეფასებაში ხელმძღვანელი საერთოდ არ მონაწილეობდეს ან დაბალი წონის შეფასება ჰქონდეს, სანაცვლოდ კი გაიზარდოს რეცენზენტის და კომისიის ხვედრითი წილი.
28. რეკომენდებულია დაწესებულებამ გააუმჯობესოს კვლევითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაცია და სასწავლო-სამეცნიერო პროცესების საერთაშორისო განვითარება.

29. გასაუმჯობესებელია დაწესებულების სასწავლო-მატერიალური ბაზა.
30. გასაახლებელია ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი, მათ შორის რიდერებით და ელექტრონული სასწავლო მასალით.
31. აუცილებელია დაწესებულების ვებ-გვერდის გააქტიურება და მასზე სტუდენტებისთვის მნიშვნელოვანი უახლესი ინფორმაციის განთავსება.
32. პროგრამების განმახორციელებელთა და ხელმძღვანელთა უშუალო მონაწილეობით გასწორდეს სხვადასხვა ავტორების სასწავლო კურსების სილაბუსებს შორის არსებულ გადაფარვები და დადგინდეს შეჯერებული ვერსიები.
33. ისტორიის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსი „ქართული ხელოვნების ისტორია“, საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კურსი „ქართული ხუროთმოძღვრება“ და არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კურსი „ქართული არქიტექტურის ისტორია“ შინაარსობრივად იდენტურია, რაც კორექტირებას საჭიროებს.
34. რეკომენდებულია, იყოს უზრუნველყოფილი პროგრამის განვითარებაში ყველა მომაწილე პირის ინფორმირება პროგრამისთვის მნიშვნელოვანი ასპექტის შესახებ და პროგრამის ერთიანი ხედვის ჩამოყალიბება;
35. რეკომენდებულია, პროგრამის შეფასების მიზნით, სტანდარტების მოთხოვნებზე დაყრდნობით, განხორციელდეს პროგრამისთვის მნიშვნელოვანი გარემოებების/ასპექტების წინასწარი იდენტიფიცირება და ანალიზი, შესაბამისობის მიღწევისათვის აუცილებელი ქმედებების დაგეგმვა და განხორციელება;
36. რეკომენდებულია, პროგრამის განვითარების/შეფასების ყველა ეტაპზე იყოს განსაზღვრული და გამოყენებული ეტაპის სპეციფიკის შესაბამისი ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომელთა შესრულებაზე პასუხისმგებლობას აიღეს პროგრამის გუნდი, ხოლო პროგრამის გუნდის საკმარის კონსულტირებაზე, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გამოყენებისა და შედეგების კონტროლზე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური;
37. რეკომენდებულია, პროგრამის შიდა შეფასება ჩატარდეს კომპლექსურად (მაგ., SWOT ანალიზის მეშვეობით), შეფასებას და კონტროლს დაექვემდებაროს პროგრამის და მისი ყველა კომპონენტის როგორც შინაარსობრივი (მათ შორის, წინაპირობები, მიზნები, შედეგები, მათი მიღწევადობა და ა.შ.), ისე ტექნიკური (ჩანაწერების სისწორე, სხვა ჩანაწერებთან ურთიერთშესაბამისობა და ა.შ.) მხარეები;
38. რეკომენდებულია, კონტროლს დაექვემდებაროს მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობა როგორც მარეგულირებელი დოკუმენტების, ისე პროგრამის კურიკულუმის დონეზე;
39. რეკომენდებულია, იყოს უზრუნველყოფილი ერთსა და იმავე საკითხთან დაკავშირებით ერთგვაროვანი მიდგომების გამოყენება, კონტროლს დაექვემდებაროს სხვადასხვა დოკუმენტებში არსებული ჩანაწერების ურთიერთშესასამისობა;
40. რეკომენდებულია გაუმჯობესდეს პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის ინფორმირება და კომპეტენტურობა ისეთ საკითხებში, როგორიცაა პროგრამის შედეგების ფორმირება/ფორმულირება, გაზომვადობა, სწავლების და შეფასების მეთოდები, რაც დადებით გავლენას მოახდენ მათ მიერ შემუშავებულ პროგრამებზე.
41. რეკომენდებულია, პროგრამის ხარისხის გარე შეფასებისთვის გამოყენებული კითხვარები/სხვ. შეესაბამებოდეს დასმულ მიზანს;
42. რეკომენდებულია, პროგრამის გარე შეფასება განახორციელონ დარგის სპეციალისტებმა (არამხოლოდ დამსაქმებლებმა, არამედ უსდ-ების წარმომადგენლებმაც), რომლებსაც ამ მიზნით მიეწოდებათ სრული ინფორმაცია პროგრამის შესახებ;

43. რეკომენდებულია, პროგრამის გარე შეფასება განხორციელდეს სისტემატურად, მოხდეს გარე შეფასების შედეგების ფორმალიზება ისეთი ფორმით, რომლითაც იქნება შესაძლებელი გარე შეფასების შედეგების და მათ საფუძველზე განხორციელებული ცვლილებების იდენტიფიცირება.
44. რეკომენდებულია შემუშავდეს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გამოყენების გეგმა (სქემა), რომელშიც იქნება მითითებული როდის, რა პერიოდულობით, ვის მიერ და ვისი ჩართულობით განხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ამა თუ იმ მეთოდის გამოყენება და ა.შ.
45. რეკომენდებულია განხორციელდეს პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლა, ანალოგიურ პროგრამებთან დადარება და შედეგების გამოყენება, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს პროგრამების ინტერნაციონალიზაციას და გაცვლითი პროგრამების განხორციელებას, რის მიმართ სტუდენტების მაღალი დაინტერესება არსებობს.

რჩევები:

1. სასურველია, ამოღებული ან სხვაგვარად ფორმულირებული იქნეს პროგრამის მიზნიდან ფრაზა არქეოლოგიის საფუძვლების ზოგადი ცოდნის შესახებ, რაც უფრო შეესაბამება ბაკალავრიატის და არა მაგისტრატურის საფეხურს;

სასურველია, რომ პროგრამის სტრუქტურაში სასწავლო კომპონენტის სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების აღსანიშნავად გამოყენებულ იქნას შემდეგი ფორმულირება: „ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამისი სავალდებულო სასწავლო კურსები“, ხოლო არჩევითი კურსების ნაცვლად კი „ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამისი არჩევითი სასწავლო კურსები“;

2. გასწორდეს პროგრამაში ჩართულ სასწავლო გეგმაში სალექციო კურსის სახელწოდება საველე არქეოლოგიური პრაქტიკა;

3. შესაბამისობაში მოვიდეს სასწავლო კურსის ქართული არქიტექტურის ისტორიის დასახელება ისტორიის სამაგისტრო პროგრამაში შეტანილი ანალოგიური სასწავლო კურსის დასახელებასთან;

4. სასურველია არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამას ჰქონდეს მეტი არჩევითი საგნები;

5. სასურველია პრეისტორიული არქეოლოგიის დამატება პროგრამაში. თუკი წარმოდგენილი იქნება სასწავლოს კურსები კლასიკური და შუასაუკუნეების არქეოლოგია, როგორც დღეს არის, მაშინ ლოგიკურია პრეისტორიული არქეოლოგიის დამატებაც;

6. რომელიმე სასწავლო კურსში სასურველია რომ წარმოდგენილი იყოს თემები რომლებიც ზოგადად არქეოლოგიის მეცნიერების რაობას, მიზნებს, დანიშნულებას შეეხება. რას წარმოადგენს თანამედროვე არქეოლოგია, რა წყაროები გააჩნია, რა კვლევის მეთოდებს იყენებს. თანამედროვე ტექნოლოგიები და ინტერდისციპლინარული კვლევები არქეოლოგიაში და ა.შ;

7. სასწავლო კურსში „საველე არქეოლოგია“ გასათვალისწინებელია ბოლო წლების ინოვაციები არქეოლოგიურ კვლევებში. მაგალითად გეოსაინფორმაციო სისტემა, ფოტოგრამეტრია, ინტერდისციპლინარული კვლევები და ა.შ.

დაწესებულების მხრიდან კარგი იქნება თუ ჩატარდება ტრენინგები ან/და შეხვედრები, სადაც სტუდენტებს კარგად აუხსნიან პლაგიატის მნიშვნელობის შესახებ, მისი დადგენის შესახებ, ვინაიდან აღნიშნული დაეხმარებათ ცნობიერების ამაღლებასა და სხვისი ინტელექტუალური საკუთრების პატივისცემაში.

8. სტუდენტების მხრიდან სასურველია თუ მეტად იქნება საუნივერსიტეტო მეილის გამოყენება (თუ არსებობს) აქტუალური.

9. სასურველია დაწესებულებამ უზრუნველყოს სტუდენტებისათვის კონფერენციების მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა.

10. სასურველია ხელმძღვანელის მიერ პრაქტიკულ ობიექტებზე სტუდენტების წაყვანა და დეტალების გაცნობა, ვინაიდან აღნიშნული სტუდენტებს დაეხმარება მათი სამაგისტრო ნაშრომის შესრულებაში.
11. კლასტერის თვითშეფასების ანგარიშიდან სამომავლოდ ამოღებულ იქნას განსაზღვრება: „სამაგისტრო ნაშრომი შესაძლებელია შესრულდეს ევროპისა და ამერიკის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები XVI-XXI საუკუნის დასაწყისში“. ეს არ შეესატყვისება სამაგისტრო პროგრამას და არც ამ კვალიფიკაციის სპეციალისტები ჰყავს სასწავლო უნივერსიტეტს, ვინც შეძლებდა ამ ტიპის სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობას.

2 საკითხი. შპს საქართველოს უნივერსიტეტის "არქეოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	არქეოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	28.12.2017, #71
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეშვიდე დონე
9	კვალიფიკაციის დასახელება	არქეოლოგიის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0222 ისტორია და არქეოლოგია
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	კოსტავას 77ა, თბილისი, IV კორპუსი , 0171, საქართველოს უნივერსიტეტი, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ
თვითაცილება განაცხადა ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა. საფუძველი - შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას,

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტი თეიმურაზ პაპასქირი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას. აღნიშნა, რომ ვიზიტი გაიმართა თებერვალში, შეისწავლეს საქართველოს უნივერსიტეტის "არქეოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა. ვიზიტმა წინასწარ დაგეგმილი დღის წესრიგის შესაბამისად ჩაიარა შეხვდნენ უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, ფაკულტეტის ადმინისტრაციას, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს, ხელმძღვანელებს, აკადემიურ პერსონალს, საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს და დამსაქმებლებს. საბოლო ჯამში ვიზიტმა კოლეგიალურ ვითარებაში ჩაიარა. პროგრამა მოიცავს 120 კრედიტს. აქედან 66 კრედიტი ეთმობა პროგრამის ძირითად საგნებს, 30 კრედიტი სამაგისტრო ნაშრომს, 12 კრედიტი არჩევითი საგნებისთვის და უბრალო არჩევით საგნებს ასევე 12 კრედიტი აქვთ. შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ პროგრამა შესაბამისობაშია აკრედიტაციის ხუთივე სტანდარტთან და ჯგუფს ჰქონდა ერთადერთი რეკომენდაცია უნდა გადამუშავდეს საგნების „არქეოლოგიური პრაქტიკა“ და „აკადემიური წერა და კვლევის“ სილაბუსები. რომელიც 15 კვირაზე იყო გაწერილი, ველზე კი 8 კვირა იყო. რაც შეეხება აკადემიურ წერას და კვლევას აქ ერთ ციტირების სტილზე იყო გამახვილებული ყურადღება, შესაბამისა მიეთითა ამ საგანში სხვა სტილებიც უნდა ჰქონდეს სტუდენტს გავლილი. ასევე აქვთ რამდენიმე რჩევა.
საბჭოს თავმჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა აღნიშნა, რომ გაეცნო დაწესებულების არგუმენტირებულ პასუხს, კერძოდ არქეოლოგიის პრაქტიკასთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში თუ დაწესებულებაში ხუთი დღე უნდა განხორციელდეს არქეოლოგიური მიმართულებით პრაქტიკა ყოველდღე, მაშინ როგორ იქნება ეს სასწავლო პროცესთან მიმართებით.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ ზუსტად ამიტომ გასცეს რეკომენდაცია, რომ გადასამუშავებელია პრაქტიკა მოცემულ სილაბუსში 15 კვირა იყო, აქედან 8 კვირა ველზე იყო 5 დღეს 3 საათი, თუნდაც 8 კვირაზე გადათვლით 120 საათი გამოდიოდა უკვე, კრედიტებთან მიმართებითაც შეუსაბამო გამოდიოდა. სწორედ ამას შეეხებოდა რეკომენდაცია, რომ გადასამუშავებელია სილაბუსი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის დირექტორი თინათინ ღუდუშაური მიესალმა დამსწრე საზოგადოებას მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული სამსახურისთვის. თქვა, რომ აკადემიურ წერასთან დაკავშირებით მათ პასუხშიც დააფიქსირეს, რომ კონკრეტული სტილი გამოკვეთილი არ არის ზოგადად არის წერის სტრატეგიებზე ლაპარაკი, რაზეც არის ორიენტაცია აღებული. აქვე აღნიშნა, რომ ყველა რჩევა და რეკომენდაცია მიმართულია პროგრამის წინ წასვლისთვის და განვითარებისთვის. პროგრამის განვითარების საბჭომ იმსჯელა ამ რეკომენდაციებზე და მიიღეს გადაწყვეტილება მაკა ჩხეიძის მიერ, რომლებიც არის ევროპული ენებისა და ფილოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი მომზადებულია დამატებითი სასწავლო მასალა, რომელშიც ის სტილი რაც უნივერსიტეტის მიერ არის არჩეული რითაც ასევე აფორმებენ სამაგისტრო, საბაკალავრო და სადოქტორო

ნაშრომებს მოცემულია ინფორმაცია აკადემიური წერისა და სამეცნიერო წერის სხვადასხვა სტილებთან დაკავშირებით მათ შორის ჩიკაგოს სტილი და ა.შ. სილაბუსი გადალაგება თემატურად ისე, რომ დამატებითი სასწავლო მასალისთვისაც, რომელშიც გათვალისწინებული ინება სტუდენტისათვის მისაწვდომი ინფორმაცია სხვადასხვა სტილთან დაკავშირებით ჩაჯდება სილაბუსში. რაც შეეხება რჩევებს მიუხედავად იმისა, რომ ეს არ იყო სავალდებულო ხასიათის ჩათვალეს რომ გარკვეული ნაწილი აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ. რამდენიმე რჩევა ტექნიკური ხასიათის შეცდომას ეხებოდა, მაგალითად გამოცემის წელი რასაც თავიდანვე დაეთანხმნენ. მნიშვნელოვანი რჩევა იყო რომელიც კონცენტრაციის ერთი დამატებითი მოდულის ინტეგრირებას შეეხებოდა შუა საუკუნეების არქეოლოგიის შესახებ, მათთან კონცენტრაციის ეს მოდულები არის ჩაშენებული პროგრამაში, სტუდენტს სპეციალიზაციისაც საკუთარი კომპეტენციის გაღრმავებისთვის სთავაზობენ რაღაცაზე გააკეთონ ორიენტაცია ექსპერტებმა შესთავაზეს, რომ არსებულ სამ მოდულთან ერთად კიდევ ერთი შუა საუკუნეების მოდული დაემატებინათ რაც გაითვალისწინეს. რჩევა იყო ასვე მობილობასთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაცია იყოს ჩადებული გამოცხადების დროს, რომელიც ჩვეულებრივი სტანდარტული ინფორმაციის გარდა, რომელშიც იგულისხმება რა პირობებით იღებენ, რა წინაპირობების დაკმაყოფილებით მიიღებენ სამაგისტრო პროგრამაზე სტუდენტებს გათვალიწინებული იყო წელიწადში ორჯერ მობილობითაც მიიღონ სტუდენტები, ხარისხის სამსახურთან ერთად იმსჯელეს ამ ყველაფერზე და ჩათვალეს რომ აუცილებლად გასათვალისწინებელი რჩევაა. რაც შეეხება პრაქტიკას გააგზავნეს არგუმენტირებული პასუხი სადაც ნათქვამია თუ რა იგულისხმება. პრაქტიკის სილაბუსი, კომპონენტი მიმაგრებულია შესაბამის სემესტრზე კონკრეტულად მე-3, თუმცა ისეა განაწილებული, რომ ძირითადი პრაქტიკული საველე მუშაობა მიმდინარეობს მას შემდეგ, რაც სტუდენტმა მოიძია ლიტერატურა და ა.შ. სემესტრის ბოლოსთვის, როდესაც არქეოლოგიური სეზონიც იწყება მხლოდ მაშინ გადიან ძირითად სამუშაოზე.

არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი დავით ბერიკაშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას ისაუბრა არქეოლოგიის პრაქტიკასთან დაკავშირებით. აღნიშნა, რომ ალბათ უფრო ბევრი კონკრეტიკა იყო საჭირო სილაბუსში რათა ეს კითხვა არ გაჩენილიყო თუმცა სტუდენტები საველე პრაქტიკას რეალურ არქეოლოგიურ გათხრებს გადიან მას შემდეგ რაც სემესტრს დაასრულებენ, პრაქტიკას არქეოლოგიურ ველზე აწარმოებენ მას, შემდეგ რაც სხვა ლექციები დასრულებულია თუმცა სემესტრის განმავლობაში აქვთ საშუალება უნივერსიტეტის ლაბორატორიაში პრაქტიკული სამუშაოები შეასრულონ, რაც გულისხმობს არა მარტო ლიტერატურის მოძიებას, საარქივო მასალების მოძიებას, არქეოლოგიური მასალის დამუშავება თუ გადამუშავებას არამედ გასულ წლებში მოპოვებული არქეოლოგიურ მასალაზე მუშაობას, ზოოარქეოლოგიურ მასალაზე მუშაობას რაც პრაქტიკული სამუშაოა. როდესაც ისინი გავლენ ნამდვილ გათხრებზე შემზადებული იქნებიან ახალი მასალისთვის რასაც გათხებიდან აიღებენ. იმსჯელებენ და შესაძლოა მეტი სიცხადე შეიტანონ სილაბუსში რათა მსგავსი კითხვა არ გაჩნდეს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ საკუთარი მოსაზრებები.

საბჭოს წევრი ერმილე მესხია მიესალმა დამსწრე საზოგადოებას დასვა დამაზუსტებელი კითხვა. ის დაინტერესდა არქეოლოგიური პროექტის მართვის საგნით და სილაბუსით, კითხვა დასვა პრეზენტაციასთან დაკავშირებით თუ რა იქნება ის ან რაში, რადგანაც სილაბუსში არ ჩანს. რაც შეეხება მეორე დამაზუსტებელ კითვას, მე-7 კვირაში მათ აქვთ თემა ''დროის მართვა და ფინანსური მენეჯმენტი'' არქეოლოგიურ პროექტში მითითებულია ლიტერატურა ჩხაიძის ''პროექტის მართვის საფუძვლები'' და მეორე თამარ ქოიძის. რადგანაც მოცემულია სიტყვა არქეოლოგია გაჩნდა კითხვა რამდენად პასუხობს ეს ლიტერატურა ამ თემას.

დაწესებულების წარმომადგენელმა პასუხის გაცემა მეორე კითხვით დაიწყო თქვა, რომ არ არიან განებივრებულები ისეთი სპეციფიკური არქეოლოგიური ლიტერატურით, რომელიც კონკრეტულად ამ მიმართულებებთან დაკავშირებით იქნებოდა მომზადებული. ფაქტობრივად არ არსებობს ქართულ ენაზე, უცხოურადაც რთული მოსაძებნია ლიტერატურა, რომელიც

არქეოლოგიური პროექტის მიმდინარეობისას დროის მართვაზე გვაძლევს ინფორმაციას. ამიტომ ერთადერთ გამოსავლად მიიჩნიეს სტუდენტებისთვის მიეთითებინათ საბაზისო სახელმძღვანელოები, რომელიც ზოგადად პროექტს და მის ფარგლებში დროის მართვას და გეგმა-გრაფიკის, ფინანსური ნაწილის მართვას გულისხმობდა. თუმცა კოლეგებთან ერთად მუშაობენ სახელმძღვანელოზე, რომელიც ორი ნაწილისგან იქნება შედგენილი 1-ლი განახლებული არქეოლოგიური საველე მეთოდიკა, ხოლო მე-2 ნაწილი იქნება პრაქტიკული ნაწილის გათვალისწინებით მითითებული იქნება როგორ უნდა დაიგეგმოს არქეოლოგიური გრაფიკის გეგმა-გრაფიკი, გაუთვალისწინებელი ხარჯები და ა.შ.
რაც შეეხება პირველ შეკითხვას, თქვა რომ მაგისტრატურა ის საფეხურია, რომლის დამთავრების შემდეგ სტუდენტს უნდა შეეძლოს გამართული არქეოლოგიური საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება. ეს დოკუმენტაცია კანონით არის განსაზღვრული, კანონით კულტურული მემკვიდრეობის შესახებ და არქეოლოგიური გათხრებისათვის საჭირო ნებართვა გაიცემა სააგენტოს მიერ, მას შემდეგ რაც ამ დოკუმენტაციას წარადგენს. პრეზენტაციას სტუდენტი, რომელიც სემესტრის ბოლოს წარმოადგენს არქეოლოგიურ საპროექტო დოკუმენტაციას გულისხმობს. პრეზენტაციაში სტუდენტი მუშაობს და წარმოადგენს ისეთ საკითხებს, როგორიც არის განმარტებითი ბარათი, გეგმა-გრაფიკი რაც საჭიროა ამა თუ იმ ძეგლზე მუშაობისთვის და სხვა დოკუმენტები რაც კანონით არის მოთხოვნილი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 13:31 სთ
დასრულების დრო: 13:37 სთ

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს საქართველოს უნივერსიტეტის "არქეოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი;
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი -0

გადაწყვეტილება : „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, , „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს საქართველოს უნივერსიტეტის "არქეოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

საგანმანათლებლო დაწესებულებას აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

რეკომენდაციები:

უნდა გადამუშავდეს საგნების „არქეოლოგიური პრაქტიკა“ და „აკადემიური წერა და კვლევა“ სილაბუსები.

რჩევები:
1. სასურველია, რომ პროგრამის სტრუქტურაში ცალკე იქნას გამოყოფილი შუა საუკუნეების არქეოლოგიის შემსწავლელი საგნები მეოთხე არჩევითი მოდულის – შუა საუკუნეების არქეოლოგიის სახით;
სასურველია, რომ პროგრამის არჩევით საგნებში მოცემული ინგლისური ენა B2+ ჩანაცვლდეს დარგობრივი ინგლისური ენით;
2. სასურველია, გასწორდეს ტექნიკური ხარვეზები (მიეთითოს გამოცემის წელი) სილაბუსებში: არქეოლოგიური კოლექციების ინტერპრეტაცია მუზეუმებში; გეოინფორმაციული ტექნოლოგიები არქეოლოგიაში; ქალკოლითური კულტურების არქეოლოგია და ა.შ;
3. სასურველია, პროგრამაზე მიღება არ იყოს შეზღუდული მხოლოდ ჰუმანიტარულ ან სოციალურ მეცნიერებებში ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე პირებით;
4. სასურველია პროგრამაზე მიღების წინაპირობებში მითითებული იყოს, რომ პროგრამაზე ჩარიცხვა შესაძლებელია მობილობის წესით წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით. ასევე პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების შესაბამისად.

3 საკითხი. სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "საერთაშორისო ურთიერთობების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის შედეგების განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საერთაშორისო ურთიერთობები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	11.02.2022, #137266
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე დონე
9	კვალიფიკაციის დასახელება	საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0312 პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	ანა პოლიტკოვსკაიას №61, თბილისი, 0186. საქართველო პირველი სასწავლო კორპუსი

15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტი ირაკლი მანველიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას. აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 11 თებერვლის გადაწყვეტილებით სოხუმის უნივერსიტეტის საერთაშორისო ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია შვიდი წლის ვადით და მას განესაზღვრა 10 რეკომენდაცია. უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ანგარიშის თანდართული დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე დაწესებულებამ ყველა რეკომენდაცია სრულად შეასრულა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა რომეო გალდავამ მადლობა გადაუხადა ექსპერტს გაწეული სამუშაოსთვის.
პროგრამის ხელმძღვანელმა ომარ არდაშელიამ ასევე მადლობა გადაუხადა ექსპერტს გაწეული სამუშაოსთვის.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ საკუთარი მოსაზრებები.
საბჭოს წევრების მხრიდან შეკითხვები არ ყოფილა.
სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 13:40 სთ
დასრულების დრო: 13:52 სთ

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "საერთაშორისო ურთიერთობების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება : აკრედიტაციის დებულების 276 მუხლის მე - 2 პუნქტისა და 211 პუნქტის საფუძველზე ცნობად იქნეს მიღებული სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "საერთაშორისო ურთიერთობების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიში.

4 საკითხი. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ევრაზიის და კავკასიის კვლევების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის შედეგების განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ევრაზიის და კავკასიის კვლევები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	№124369; 08.02.2022
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეშვიდე დონე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ევრაზიისა და კავკასიის კვლევების მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0388 ინტერდისციპლინური – მოიცავს სოციალურ მეცნიერებებს, ჟურნალისტიკას, ინფორმაციის მართვას
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	ჭავჭავაძის გამზ. №1, №8, თსუ-ს კორპუსები I, IV; თბილისი, 0179, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ დიახ

თვითაცილება განაცხადა ნინო ჭალაგანიძემ. საფუძველი - შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას. აღნიშნა, რომ აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით ევრაზიისა და კავკასიის კვლევების სამაგისტრო პროგრამას აკრედიტაცია მიენიჭა 4 წლის ვადით ხოლო ანგარიშის წარმოდგენის ვადად განესაზღვრა 1 წელი. მეორე სტანდარტის გარდა 5 სტანდარტიდან ყველა შეფასდა როგორც შესაბამისობაში მოთხოვნებთან, ხოლო მეორე სტანდარტი როგორც მეტწილად შესაბამისობაში. სულ გაცემული იყო 8 რეკომენდაცია და რამდენიმე რჩევა. ანგარიშის შესწავლის შედეგად დაგინდა, რომ რეკომენდაციების უმრავლესობა იყო შესრულებული. ხოლო მეორე რეკომენდაცია პროგრამის კვლევითი კომპონენტის გამრავალფეროვნების მიზნით, გაძლიერდეს რაოდენობრივი კვლევის მეთოდების სწავლება დაწესებულების მიერ ჯერ-ჯერობით გათვალისწინებული არ არის. რადგან პროგრამის გუნდის გადმოსახედიდან აღნიშნული სფერო თავისი ინტერდისციპლინური ხასიათიდან გამომდინარე არ მოითხოვს აუცილებელ ფოკუსს რაოდენობრივ მეთოდებზე. სტუდენტების მხრიდან მათ მიერ განხორციელებული კვლევების ფარგლებში ამ მეთოდების გამოყენების მოთხოვნა ნაკლებად ვლინდება. ასევე, უკვე შესრულებული სამაგისტრო ნაშრომების ფარგლებში ძირითადად ყურადღება ეთმობა თვისებრივ კვლევით სტრატეგიას. დანარჩენი რეკომენდაციები კი ყველა გათვალისწინებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, თქვა რომ გაითვალისწინეს რეკომენდაციები, რომლითაც პროგრამა გაუმჯობესდა და გამრავალფეროვნდა იმ კონკრეტული საგნების ჩამატებით, რომლებიც აისახა პროგრამაში, ამ პროგრამით ასევე ემსახურებიან ერასმუს პლიუსის სტუდენტებს. რაც შეეხება მეთოდებს ამას არ აკონკრეტებენ უბრალოდ არჩევითი შესაძლებლობებით თუ აუცილებლობა დადგება არჩევითი კვლევის მეთოდების მიმართულებით შეუძლიათ სტუდენტებს შესთავაზონ, როგორც კონსულტაციები ასევე გარე გასვლა თავისუფალი კრედიტების ფარგლებში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ საკუთარი მოსაზრებები.

საბჭოს წევრების მხრიდან შეკითხვები არ ყოფილა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 13:57 სთ

დასრულების დრო: 14:04 სთ

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ევრაზიის და კავკასიის კვლევების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 14

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება : აკრედიტაციის დებულების 276 მუხლის მე - 2 პუნქტისა და 211 პუნქტის საფუძველზე ცნობად იქნეს მიღებული ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტის "ევრაზიის და კავკასიის კვლევების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიში.

5 საკითხი. შპს თავისუფალი უნივერსიტეტის "საერთაშორისო ურთიერთობების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიური მონიტორინგის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საერთაშორისო ურთიერთობები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	24/08/2021, #816172
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე დონე
9	კვალიფიკაციის დასახელება	საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0312 პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	დავით აღმაშენებლის ხეივანი 240, 0159, თბილისი, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტი გვანცა აბდალაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, თქვა რომ მსჯელობენ რას ნიშნავს პოლიტიკის მეცნიერებები და რითი განსხვავდება ის ზოგადად პოლიტიკის მეცნიერებებისგან, რომლის შემადგენელი ნაწილი არის თავად საერთაშორისო ურთიერთობები. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ჩათვალა, რომ განხორციელებული ცვლილებები ისევ არ არის შესაბამისობაში იმასთან, რომ ნებისმიერ სტუდენტს შეექმნას საფუძველი პოლიტიკის მეცნიერების საბაზისო საკითხებში. განხორცილებული ცვლილებები არის ძალიან საინტერესო და ფიქრობენ, რომ ის სილაბუსები, რომლებიც წარმოდგენილ იქნა გაცილებით უფრო შესაბამისია პროგრამასთან, რადგან მანამდე იყო სრულად ისტორიის დარგზე დაფუძნებული ახლა კი არის ისტორიის საკითხების შემცველი სილაბუსი, რომელიც ითვალისწინებს იმ რეგიონის ქვეყნების პოლიტიკურ მოცემულობას. შესაბამისად საინტერესოა და დადებით შეფასებას იმსახურებს თუმცა რეკომენდაციასთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე დარჩა იგივე აზრზე. შესაბამისად ფიქრობენ, რომ ეს საკითხი საბჭოს მიერ არის გადასაწყვეტი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საერთაშორისო ურთიერთობების სკოლის დეკანი თინათინ ქაროსანიძე მიესალმა დამსწრე საზოგადებას. აღნიშნა, რომ საბჭოს მიერ იყო გაცემული რეკომენდაცია რომელიც ეხებოდა პოლიტიკის საკითხების შესწავლის გაძლიერებას, რომელიც გადაწყვიტეს რომ ყოფილიყო ასე. საკითხი უკავშირდება პროგრამაში რამდენიმე კონცენტრაციას აქვთ საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამა და ბაკალავრის ხარისხს ანიჭებენ საერთაშორისო ურთიერთობებში, რომლის ფარგლებშიც სამი კონცენტრაცია ისწავლება, ახლო აღმოსავლეთის კვლევები, შორეული აღმოსავლეთი და ევრო ატლანტიკა. ექსპერტების ვიზიტის დროს გამოთქვეს მოსაზრება, რომ არ იყო თანაბრად წარმოდგენილი პოლიტიკის საკითხების შესწავლა ამ კონცენტრაციებში კონკრეტულად ევროატლანტიკის მიმართულება მათთვის დამაკმაყოფილებელი იყო პოლიტიკის საკითხების სწავლების მხრივ, ხოლო ახლო და შორეული აღმოსავლეთის მიმართულებები ისტორიის სწავლების მეთოდოლოგიით ჰქონდათ წარმოდგენილი და მათ მიიჩნიეს სჯობდა ყოფილიყო პოლიტიკის საკითხების სწავლება, როგორც ეს პოლიტიკურ მეცნიერებებში არის ეს იყო წინაპირობა. შესაბამისად დაწესებულებამ შეცვალა ეს სილაბუსები და არის ორი ახალი სილაბუსი, რომელიც მოერგო ამ რეგიონის პოლიტიკის შესწავლის საკითხების ანალიზს შესაბამისი ლიტერატურა შეიცვალა, შეცვალა ამ კურსების მიზნები და შედეგები. გარდა ამისა საგარეო პოლიტიკის აკადემიური სიმულაცია, რომელიც იყო პრაქტიკული საგანი გაჰყვეს შუაზე(16 კვირის საგანი) ნაწილი დაეთმო პოლიტიკის საკითხების თეორიულ შესწავლას. შესაბამისად წარმოდგენილი სილაბუსი, უშუალოდ საგარეო პოლიტიკის საკითხების შესწავლას უკავშირდება. ექსპერტების დასკვნაში კი წერია, რომ თითქოს ამ საკითხებს არ ასწავლიან სხვადასხვა კურსებში. ეს კურსები არის: საერთაშორისო ურთიერთობების თეორია, საერთაშორისო სამართალი, სამართლის საფუძვლები და აწ უკვე დამატებული ის ახალი კურსები, რომლებიც შესთავაზეს როგორც მექანიზმი პოლიტიკის სწავლების გაძლიერებისა. განმეორდა და აღნიშნა, რომ ხარისხს არ ანიჭებენ პოლიტიკურ მეცნიერებებში ხარისხს ანიჭებენ საერთაშორისო ურთიერთობებში.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ საკუთარი მოსაზრებები.
საბჭოს წევრების მხრიდან შეკითხვები არ ყოფილა.
სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:12 სთ
დასრულების დრო: 14:13 სთ

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს თავისუფალი უნივერსიტეტის "საერთაშორისო ურთიერთობების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი:

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25 -ე პუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლია იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისი N233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად შეწყდეს შპს თავისუფალი უნივერსიტეტის "საერთაშორისო ურთიერთობების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

6 საკითხი. შპს კავკასიის უნივერსიტეტის "კომპიუტერული მეცნიერების" ინგლისურენოვანი ერთობლივი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	კომპიუტერული მეცნიერების ერთობლივი საბაკალავრო პროგრამა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე დონე
9	კვალიფიკაციის დასახელება	1. კავკასიის უნივერსიტეტი - მეცნიერების ბაკალავრი კომპიუტერულ მეცნიერებაში / Bachelor of Science in Computer Science 2. ფერლი დიკინსონის უნივერსიტეტი - მეცნიერების ბაკალავრი / Bachelor of Science
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0613 პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი
12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	200

14	განხორციელების ადგილი	კავკასიის უნივერსიტეტი - პაატა საკაძის #1, თბილისი, 0102, საქართველო ფერლი დიკინსონის უნივერსიტეტი - 1000 River Road Teaneck, New Jersey 07666, USA
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ
თვითაცილება განაცხადა გურანდა ჭელიძემ.საფუძველი - შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
მეექვსე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, თქვა რომ ექსპერტთა ჯგუფი შეფასებით არის ძალიან კმაყოფილი ზოგადად არის პოზიტიური შეფასება. გაიცა რეკომენდაცია და რამდენიმე რჩევა. ის საკითხები რაც გაიცა რჩევებსა და რეკომენდაციებში ეხება ნაკლებად მნიშვნელოვან საკითხებს, შესაბამისად, ზოგადი შეფასება არის პოზიტიური. რჩევები, რომლებიც გაიცა შეფასების ფარგლებში, ეხებოდა კვლევის მეტად ინტეგრირებას სწავლების პროცესში, რაც მეტად შესაბამისი იქნებოდა პროგრამის ამოცანებთან ასევე აღნიშნა, რომ პროგრამა არის ახალი და ძნელია ამ ეტაპზე დასკვნის გაკეთება, იყო რამდენიმე შენიშვნა სტატისტიკის საკითხებთან დაკავშირებით გარკვეული პროგრამების გამოყენების საჭიროებაზე სტატისტიკის კურსებთან დაკავშირებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
უნივერსიტეტის პრეზიდენტი კახა შენგელია მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, თქვა რომ მათთვის დიდი პატივია გააგრძელონ ეს საქმე, რაც ნიშნავს ახალ ორმაგ პროგრამას ქვეყნისთვის. მადლობა გადაუხადა ექსპერტს გაწეული სამუშაოსთვის.
ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორმა დიანა მჭედლიშვილმა აღნიშნა, რომ იყო რეკომენდაცია სილაბუსში გაფორმების სტილზე, რომ გავხსნათ სილაბუსი კალკულუსით, რეალურად აკადემიური კალენდარი ზოგ სილაბუსში მოცემულია, ზოგში ეს ცხრილი არ არის მოცემული, ვინაიდან ცალკე მარეგულირებელ დოკუმენტში არის გაცხადებული რომ სასწავლო კალენდარი არის 20 კვირაზე გაწერილი. ექსპერტებს ჰქონდათ შენიშვნა რომ კვირების რაოდენობა და თემების რაოდენობა განსხვავებულად არის. თუ დააკვირდებიან სტრუქტურას აკადემიურ კალენდარში 20 კვირაა მოცემული თუმცა შემდეგ ცხრილი გრძელდება ''სასწავლო კურსის შინაარსი'' სადაც წერია მეცადინეობების თემა და ლიტერატურა ანუ თემებია

გაწერილი და არა კვირები. თემების ჩამონათვალი, რომელიც უნდა დაიფაროს ამ 20 კვირის განმავლობაში. თუმცა 20-ივე კვირა ბუნებრივია სალექციო კვირა არ არის, რაც პასუხშიც არის ახსნილი შესაბამისად თემების რაოდენობა განსხვავდება სასწავლო კვირის შინაარსიდან გამომდინარე და ლექტორი თვითონ წყვეტს რამდენი თემა აიღოს, რომელსაც დაფარავს იმ 20 კვირის განმავლობაში.
კავკასიის ტექნოლოგიების სკოლის დეკანმა შოთა ნიჟარაძემ აღნიშნა, რომ რამდენიმე ტექნიკური ხარვეზი იყო.
დიანა მჭედლიშვილმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს ნაყოფიერი სამუშაოსთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ საკუთარი მოსაზრებები.
საბჭოს თავმჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა აღნიშნა, რომ ეს არის ძალიან კარგი პრაქტიკა, რომლის შეთავაზებაც ქართველი სტუდენტებისთვის ითვალისწინებს, როგორც საქართველოში ასევე უცხოეთში ამ ცოდნის მიღებას. დასვა კითხვა, რამდენად არის მოლოდინი პარტნიორი უნივერისტეტებიდან რომ ჩამოვიდნენ ამ პროგრამაზე სტუდენტები.
კახა შენგელიამ აღნიშნა, რომ დიდი ხანია აქვთ ურთიერთობა უცხოეთში პარტნიორ უნივერსიტეტთან, ხშირად ჩამოდიან სტუდენტები აქ, ასევე ჩამოდის რექტორი და ახლო ურთიერთობები აქვთ. იმედი აქვს და დარწმუნებულია, რომ სხვა ამერიკული უნივერსიტეტებიდანაც ჩამოვლენ სტუდენტები და მეტნი იქნებიან.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:19 სთ
დასრულების დრო: 17:27 სთ

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს კავკასიის უნივერსიტეტის "კომპიუტერული მეცნიერების" ინგლისურენოვანი ერთობლივი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი;
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, , „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს საქართველოს უნივერსიტეტის "არქეოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია კლასტერის (2025 წლის 31 დეკემბერი) ვადით.

საგანმანათლებლო დაწესებულებას აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით განესაზღვრა შემდეგი რჩევები:

რჩევები:

1. სასურველია, პროგრამის ადმინისტრაციამ განახორციელოს შემოთავაზებული სასწავლო პრაქტიკის მიმოხილვა კურსის მასალასთან მიმართებაში, რათა შეიტანოს მეტი კვლევაზე დაფუძნებული სწავლა და სწავლება სასწავლო გეგმაში;
2. სასურველია, პროგრამის განვითარებასთან ერთად, პროგრამის მიზნების უწყვეტი შეფასების სისტემის დანერგვა, რათა უზრუნველყოფილი იყოს მიზნების: ა) მუდმივი რელევანტურობა და ბ) მიღწევადობა;
3. სასურველია, ტექნიკური საკითხების გასწორება სილაბუსში;
4. სასურველია, კურსის სილაბუსში „ალბათობა და სტატისტიკა“ პრობლემის გადაჭრა შეიცავდეს შესაბამის სტატისტიკურ პროგრამულ უზრუნველყოფას, როგორიცაა Excell, MegaStat ან MINITAB;
5. სასურველია, უფრო მჭიდრო თანამშრომლობა კავკასიის უნივერსიტეტისა და ფერლი დიკინსონის უნივერსიტეტის თანამშრომლებს შორის, ერთმანეთის გასაცნობად დაწესებულებებში ჩასვლისა და გამოცდილების გაცვლის გზით.

საბჭოს სხდომა დასრულებულად გამოცხადდა 2023 წლის 01 მაისის 17:29 საათზე.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
რატიანი რატი



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი